ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## აფხაზეთში თურქეთის საწინააღმდეგო სანქციები ამოქმედდება

მოსკოვი აფხაზეთში ჩეჩნეთის მეთოდებს იყენებს?

გვ.4



პარასკევი, 8 იანვარი, 2016 №5 (6932) ფასი: 50 თეთრი

# ზვიად კვაჭანტირაძე: „კვირიკაშვილს მინისტრების შეცვლა მოუწევს“



„მნიშვნელობა არა აქვს, ვინ გახდება „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ ლიდერი, რადგანაც პარტიის თავმჯდომარეც, პრემიერიც და პრეზიდენტიც ბიძინა ივანიშვილია“





გვ.2




გვ.4

## სოსო ცინცაძე: „ქართული ოცნება“ საარჩევნო კარუსელს ვერ დაატრიალებს“

## მამუკა გამყრელიძე: „ივანიშვილმა შეიძლება რესპუბლიკელები გააძლიეროს“

ევროპა ამიერკავკასიის გასაღებს არ დაკარგავს



გვ.3

## დავით კირკიტაძის ძმას სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა



გვ.4

# საშობაო ალილოზე შეგროვილი შემოწირულობა ბავშვებსა და მოხუცებს გადაეცათ



გვ.2





ISSN 1987-9385







გვ.4

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ზვიად კვაჭანტირაძე: „კვირიკაშვილს მინისტრების შეცვლა მოუწევს“

შორენა მარსაგიშვილი




ნაახალწლევ-ნაქეიფარი საქართველო ჩვენი პოლიტიკოსების წყალობით მალე მოვა აზრზე. „ქართულ ოცნებაში“ ადასტურებენ, რომ მალე სამთავრობო კარუსელი დატრიალდება.

მთავრობაში ახალი სახეების გამოჩენა ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს იგეგმებოდა. მაგრამ მაშინ მეოცნებეებმა თავი შეიკავეს, რადგანაც მთავრობას პარლამენტის ნდობა სჭირდებოდა და შესაძლოა უმრავლესობიდან ვიღაც გაჯიუტებულიყო. ახლა პრემიერს არხეინად შეუძლია რამდენიმე მინისტრის გამოცვლა. სახელისუფლებო კულუარებში აცხადებენ, რომ წინასაარჩევნოდ სამთავრობო კარუსელი რამდენჯერმე დატრიალდება.

პირველ კარუსელს უახლოეს მომავალში ელოდებიან. მთავრობაში მოსალოდნელ ცვლილებებს უკვე ოფიციალურად ადასტურებენ როგორც მინისტრები, ასევე დეპუტატებიც.

ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო ჟურნალისტებთან საუბარში ადასტურებს, რომ ისინი ცვლილებებისთვის აქტიურად ემზადებიან.

როგორც ამბობენ, ეს ცვლილება არავითარ შემთხვევაში არ შეეხება ჯანდაცვის მინისტრს, სხვების მდგომარეობა კი ბოლომდე გარკვეული არ არის.

სერგეენკო მედიასთან საუბარში აცხადებს, რომ გიორგი კვირიკაშვილთან ყოველდღიურად იმართება შეხვედრები.

მისი თქმით, პრემიერთან შეხვედრები, ფაქტობრივად, ყოველდღიურ რეჟიმში იმართება, სადაც უწყებებში მიმდინარე პროექტების პრეზენტაცია და ანალიზი მიმდინარეობს.

კვირიკაშვილი საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას სწორედ ამ პროცესის დასრულების შემდეგ მიიღებს.

– პრემიერს აქვს სურვილი, დეტალურად გაეცნოს ყველა სამინისტროს მუშაობას, პრაქტიკულად ყოველდღე ხდება მიმდინარე პროქტების დეტალური პრეზენტაცია და ანალიზი და, როგორც განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა, დრო დასჭირდება, გაერკვეს დეტალურად, სიღრმისეულად სიტუაციაში და ამის მერე მიიღებს გადაწყვეტილებას, – განაცხადა დავით სერგეენკომ.

მინისტრთა კაბინეტში მოსალოდნელ ცვლილებებს ელოდება საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ზვიად კვაჭანტირაძეც. ის დარწმუნებულია, რომ გიორგი კვირიკაშვილს აუცილებლად მოუწევს ცვლილებების განხორციელება.

– მინისტრთა კაბინეტში მოსალოდნელ ცვლილებებზე ჯერ კიდევ პრემიერმინისტრობის კანდიდატმა გიორგი კვირიკაშვილმა გააკეთა განცხადება. ამაში ვერაფერს ვხედავ უცნაურს. თუ მიაქციეთ ყურადღება, მე ყველა განცხადებაში ხაზს ვუსვამდი იმას, რომ პრემიერმინისტრი ამ გადაწყვეტილებას, უბრალოდ, ვერ ასცდება, რომ რაიმე ცვლილება მაინც არ შეიტანოს მინისტრთა კაბინეტში. ეს პრემიერის გადასაწყვეტია, – განაცხადა კვაჭანტირაძემ.

ვინ შეიძლება შეიცვალოს მინისტრთა კაბინეტში, ამაზე საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი არ საუბრობს.



– ვინ შეიცვლება მთავრობაში, ეს პრემიერის გადასაწყვეტია, – აღნიშნავს კვაჭანტირაძე.

* * *

მინისტრების შეცვლის გარდა, ახალ პრემიერს სხვა საზრუნავიც ექნება. გიორგი კვირიკაშვილი, სავარაუდოდ, „ქართულ ოცნება დემოკრატიულ საქართველოსაც“ ჩაუდგება სათავეში.

ეს თანამდებობა მას შემდეგ გახდა ვაკანტური, რაც ირაკლი ღარიბაშვილმა პრემიერის პოსტი დატოვა. მთავრობის მეთაურობის გარდა, მან პარტიის თავმჯდომარეობაზეც უარი თქვა. თავის დროზე ასე მოიქცა ბიძინა ივანიშვილიც. ეტყობა, მეოცნებეებში დაუწერელია კანონია, რომ პარტიას პრემიერმა უნდა უხელმძღვანელოს.

ამ ტრადიციის მიუხედავად, „ქართულ ოცნებაში“ მაინც გავრცელდა ხმა, რომ ეს პოსტი შესაძლოა კახა კალაძეს დაეკავებინა. ამ უკანასკნელს, დღეის მდგომარეობით, პარტიის გენერალური მდივნის პოსტი უკავია.

ამ მიზნის მისაღწევად, როგორც ამბობენ, მან გარკვეული სამუშაოები ჩაატარა, თუმცა ბოლოს სასწორი მოქმედი პრემიერის მხარეს გადაიხარა. როგორც ამბობენ, ასე უნდა ბიძინა ივანიშვილს და, ბუნებრივია, ამ მოსაზრებას მეოცნებეებიც იზიარებენ.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ზვიად კვაჭანტირაძე ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, რომ პარტია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარედ პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის კანდიდატურა განიხილება.

– გიორგი კვირიკაშვილის კანდიდატურა ნამდვილად განიხილება ჩვენი პარტიის თავმჯდომარის პოსტზე მას შემდეგ, რაც ბატონმა ღარიბაშვილმა გაახმოვანა თავისი სურვილი, პარტიული პოზიციიდან წავიდეს... თავად გუნდს სურს, კვირიკაშვილი იხილოს პარტიისა და კოალიციის ლიდერად, – განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავკაცი გია ვოლსკი აცხადებს, რომ უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი, თუ ვინ იქნება ამ თანამდებობაზე წარდგენილი.

– პარტიის თავმჯდომარეობის კანდიდატთან დაკავშირებით „ოცნება“ კონსულტაციებს მართავს. განიხილება გიორგი კვირიკაშვილის კანდიდატურა, რაც, ჩემი აზრით, სწორი ხედვაა. დეტალური მსჯელობა საერთო გუნდში ჯერ არ გვქონია, კონსულტაციებს ვატარებთ, მაგრამ უახლოეს პერიოდში გვეცოდინება, თუ ვის წარვადგენთ ყრილობაზე, – აცხადებს გია ვოლსკი.

მისივე ინფორმაციით, „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ ყრილობის ჩატარებას გაზაფხულზე გეგმავს.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ეკა ბესელიაც ადასტურებს, რომ „ქართული ოცნების“ თავკაცის პოსტზე კვირიკაშვილის კანდიდატურა განიხილება. ის დარწმუნებულია, რომ ამ თანამდებობას მთავრობის მეთაური დაიკავებს.

ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის თქმით,

მმართველი გუნდის ლიდერი მმართველი პარტიის თავმჯდომარე უნდა იყოს.

– რა თქმა უნდა, გიორგი კვირიკაშვილი განიხილება პარტიის თავმჯდომარის პოსტზე. ჩვენი მიდგომაა, რომ მმართველი გუნდის ხელმძღვანელი მმართველი პარტიის თავმჯდომარეც იყოს. კვირიკაშვილის კანდიდატურა განიხილება და ამაზე, ალბათ, საბოლოოდ შევჯერდებით. ეს ძალიან პოზიტიური გადაწყვეტილება იქნება, – განუცხადა ჟურნალისტებს ეკა ბესელიამ.

პარტია „ქართულ ოცნებაში“ ახალ თავმჯდომარეზე დიდ იმედებს ამყარებენ, მათი ოპონენტები კი ფიქრობენ, რომ არსებულ სიტუაციაში სულ ერთია, ვინ დაიკავებს ამ პოსტს.

– მნიშვნელობა არა აქვს, ვინ გახდება „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ ლიდერი, რადგანაც პარტიის თავმჯდომარეც, პრემიერიც და პრეზიდენტიც ბიძინა ივანიშვილია, – აცხადებს ჟურნალისტებთან საუბარში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბეჟაშვილი.

* * *

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პოსტის გარდა, მმართველ გუნდში კონსულტაციები სხვა საკითხებზეც გაიმართება.

ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი საარჩევნო სიის შედგენაა. როგორც ამბობენ, ამას კოალიციაში დიდი პოლიტიკური წივილ-კივილი მოჰყვება.

ყველა მეოცნებე და არამარტო მეოცნებე შეგუებულია იმ აზრს, რომ საარჩევნო სიის შედგენაში გადამწყვეტ სიტყვას ბიძინა ივანიშვილი იტყვის.

ამ ეტაპზე ის არის ცნობილი, რომ სიაში ბიზნესმენები ველარ მოხვდებიან. ამის შესახებ ბიზნესით დაკავებულ დეპუტატებს თავად ივანიშვილმა განუცხადა და ურჩია, რომ უმჯობესი იქნება, თუ ისინი ახალ სამუშაო ადგილებს შექმნიან.

ცნობილია ისიც, რომ ივანიშვილს აღარც სპორტსმენების ხილვა სურს სიაში. როგორც პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ ცოტა ხნის წინ განმარტა, პრიორიტეტი დასავლეთში განათლებამიღებულ ადამიანებს მიენიჭებათ.

საარჩევნო სიის შედგენაში აქტიური მონაწილეობის მიღებას აპირებს კახა კალაძეც. როგორც „ახალ თაობისთვის“ გახდა ცნობილი, მან მოითხოვა, რომ მაჟორიტარებს თავად შეარჩევს. ის ირაკლი კობახიძესთან ერთად ახლა რაიონებში დადის და რეგიონული ორგანიზაციების განახლებით არის დაკავებული.

ბოროტი ხმები ამბობენ, რომ კალაძე მაჟორიტარებად ძირითადად ფეხბურთელებს წარადგენს. მათ შესაძლოა დასავლური განათლება არა აქვთ მიღებული, მაგრამ ევროპის მოედნებზე აქვთ ნარბენი.

პრიორიტეტი რომ ფეხბურთელებს მიენიჭებათ, ამაზე გოჩა ჯამარაულის მაგალითიც მეტყველებს. ცოტა ხნის წინ კალაძემ ის წარადგინა გარდაბნის გამგებლის არჩევნებზე მეოცნებეთა კანდიდატად.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მეოცნებეებმა საარჩევნო ოლქები გააერთიანეს და ზოგ შემთხვევაში 5 რაიონს ერთი მაჟორიტარი უნდა ჰყავდეს, შესაძლოა კალაძის არჩევანი ყველაზე სწორი იყოს. ერთმა კაცმა 5 რაიონში რომ ირბინოს, სპორტული მომზადება ნამდვილად სჭირდება, ფეხბურთელები კი კარგად დარბიან, თანაც, თუ ამომრჩეველი გამოეკიდებათ, გაიგდებენ წინ დაპირებებს ბურთივით და სდიე მერე ფეხბურთელს.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

## საშობაო ალილოზე შეგროვილი შემოწირულობა ბავშვებსა და მოხუცებს გადაეცათ

გუშინ, 7 იანვარს, ვარდების მოედნიდან საშობაო ალილო დაიწყო. ტრადიციულ მსვლელობას წინ სასულიერო პირები ხატებით მიუძღვებოდნენ.

ღვთისმსახურები საკმეველს აკმევდნენ, ნაკურთხ წყალს ასხურებდნენ და მოსახლეობას ლოცავდნენ. მსვლელობაში, მათ გარდა, მონაწილეობდნენ მრევლი, ჩოხოსნები, ბავშვები.



როგორც „ინტერპრესნიუსს“ დეკანოზმა კახაბერ გოგოტიშვილმა განუცხადა, ღმერთი განკაცდა და ეს არის უდიდესი საიდუმლო, ჩვენი გამოხსნის დასაწყისი.

– რაც შეეხება ამ კეთილ ტრადიციას, ეს არის ხარება ქრისტეშობისა, ჩვენ ვართ ქრისტეშობის მახარობლები. შეგროვდება შემოწირულობა, რომელიც მზრუნველობამოკლებულ ბავშვებსა და მოხუცებზე გადანაწილდება, – აღნიშნა დეკანოზმა გოგოტიშვილმა.



საქართველოში ალილოს ტრადიცია სათავეს V-VI საუკუნიდან იღებს. მისი აღნიშვნა ბოლო რამდენიმე წელია, ისევ აღდგა.

* * *

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ალილოს მონაწილეები დალოცა.

საპატრიარქოს ჭიშკართან პატარებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე შეხვდა. უწმინდესთან ერთად ბავშვებს გამოეგებნენ საქართველოს მთავრობის წევრები, პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი.



პატრიარქმა პატარები დალოცა და იქ მყოფებს ნაკურთხი წყალი ასხურა. მათ ტკბილეული გადასცეს.

– გილოცავთ შობის დღესასწაულს. მთელი საქართველო დალოცვილი იყოს, დალოცვილი იყოს საქართველოსთან ერთად მთელი მსოფლიო, – განაცხადა პატრიარქმა.

* * *

ალილოს მონაწილეებს შობის ბრწყინვალე დღესასწაული საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა მიულოცა.

ალილოს მონაწილეთა ერთი ჯგუფი პრეზიდენტის რეზიდენციაში იმყოფებოდა, სადაც მას გიორგი მარგველაშვილი მეუღლესთან ერთად და პრეზიდენტის ადმინისტრაციის წევრებთან ერთად დახვდა.

**გიორგი მარგველაშვილი:**

– მინდა, მთელ საქართველოს მაცხოვრის შობის დღესასწაული მივულოცო, რომელთანაც კავშირდება ის საოცარი სიყვარული, რომელიც მაცხოვარმა მოიტანა ამ ქვეყანაზე, სამყაროში. ამის შემდეგ კაცობრიობა შეიცვალა და ცხოვრობს სიყვარულის, შენდობისა და პოზიტიური ემოციების დამკვიდრების მცდელობით.

ყოველ წელს არის შესაძლებლობა, ამ ძალამ კიდევ ერთხელ გაიღვიძოს ჩვენში.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მამუკა გამყრელიძე: „ივანიშვილმა შეიძლება რესპუბლიკელები გააძლიეროს“

## ევროპა ამიერკავკასიის გასაღებს არ დაკარგავს

ნონა ცაბაძე

პოლიტიკური მოძრაობა „ივერიის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი **მამუკა გამყრელიძე** მიიჩნევს, რომ 2016 წლის ყველაზე დიდი მოვლენა იქნება არჩევნები, ყველაზე საინტერესო მოვლენა და, შესაბამისად, ყველაფერი, რაც ხდება მთავრობაში, პირდაპირ ან ირიბად არჩევნებთან იქნება დაკავშირებული.

ალბათ, პრემიერის გადადგომა და ახლის არჩევაც არჩევნებთან არის დაკავშირებული. თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, რომ ღარიბაშვილმა საქართველოს რეალური მმართველის გარკვეული უკმაყოფილება გამოიწვია...

***– რას უნდა უკავშირდებოდეს ეს უკმაყოფილება? უამრავი ვერსია და ჭორი დადის.***

– საკმაოდ აბსურდული ვერსია შემოგვთავაზეს. თუკი წარმატებული იყო და ყველაფერს მიაღწია, მაშინ უნდა მისცემოდა საშუალება, რომ ემუშავა. რადგან წავიდა, ე.ი. რაღაცის გამო წავიდა.

***– რა არის ეს რაღაც?***

– ან არაელექტორალურად ჩათვალეს, რომ ის წამგებიანია არჩევნებისათვის. ან ჩათვალეს, რომ ხისტი პოლიტიკის შერბილებაა საჭირო. ამ შემთხვევაში ვერბალურ პოლიტიკას ვგულისხმობ და არა მის ქცევებს. ზოგმა კარის ინტრიგებსაც დაუკავშირა ეს ყველაფერი, თუმცა აქ მთავარი მაინც სულ სხვა რამეა.

***– რა არის მთავარი?***

– ერთი წავიდა, მეორე მოვიდა... თუმცა ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ეს ხალხი არცერთი არ არის ქვეყნის რეალური მმართველი. არც პრეზიდენტი არაფერს წარმოადგენს საერთოდ, ნულია. ყველაფერი არის ბიძინა ივანიშვილი! ადამიანი, რომელიც რეალურად მართავს სახელმწიფოს. მართავს ყოველგვარი ვალდებულებების გარეშე, პასუხისმგებლობის გარეშე. აცილებული აქვს მოვალეობები. სრულიად არანორმალური მდგომარეობაა.

ეს ჩვენი კონსტიტუციის მქონე ქვეყნისათვის ნორმალური მდგომარეობა. ზოგადად არცერთი ქვეყნისთვის ეს ნორმალური მდგომარეობა არ არის.

***– თუმცა ივანიშვილი აცხადებს, რომ ის არ ერევა ქვეყნის მართვაში.***

– როგორ არ ერევა, სულ აკეთებს შეფასებებს, რომ ეს უნდა წავიდეს, ის უნდა წამოვიდეს, მუდმივად საქმის კურსშია, მოკლედ ის მართავს ამ ყველაფერს.

აქ მთავარი ის არის, თუ საით წავა საქართველო. ასევე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ ჩატარდება არჩევნები. ჩვენ ვხედავთ, რომ მსოფლიოში ისეთი სიტუაციაა, რომ ისინი ბევრ რამეზე თვალს დახუჭავენ.

***– რას ნიშნავს, თვალს დახუჭავენ?***

– ევროპა არ დაიწყებს ამ დეტალებზე ჩვენთან ჭიდაობას. გაატარებს რაღაც-რაღაცებს, იმიტომ, რომ ეს მის ინტერესებშია. იგივე ვიზალიბერალიზაციაც, თორემ, მე თუ მკითხავთ, ამ პირობებში ვიზალიბერალიზაცია საერთოდ არ მჭირდება.

***– რატომ?***

– აი, ასეთი ტიპის მმართველობა თავიდან ბოლომდე ეწინააღმდეგება ევროპულ სულისკვეთებას და ეს გადასარევად იციან ევროპელებმა.

***– მაშინ რატომ ხუჭავენ თვალს?***

– როგორც ჩანს, დიდი პოლიტიკა ამას მოითხოვს. ჩვენ რომ უფრო გაგვრიყონ და ხელი გვკრან, ეს რუსეთისთვის იქნება ძალიან კარგი და სასარგებლო.

ევროპა არავითარ შემთხვევაში არ დაკარგავს ამიერკავკასიის გასაღებს.

***– ანუ ჩვენით ეჭიდავებიან რუსეთს, ამიერკავკასიაში ძირითადი მოთამაშეა საქართველო?***

– რაც არ უნდა ილაპარაკოს ბიძინა ივანიშვილმა, რომ ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და არაფერს წარმოვადგენთ, ეს ასე არ არის.

ჩვენ გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი გეოგრაფიულ რუკაზე. ამიტომ ამ ხიდის დაკარგვა სტრატეგიული შეცდომა იქნება. შესაბამისად, ევროპა ბევრ რაღაცაზე თვალს დახუჭავს.



***– ანუ იციან, რომ არაფორმალური მმართველობაა, მაგრამ... არა უშავს?***

– ცხადია, ასეა. დღეს კვირიკაშვილის ცვლილება არაფერს ცვლის. ერთი ფიგურა მეორემ შეცვალა. დღეს არცერთი მინისტრი, არცერთი ფიგურა დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს არ იღებს საქართველოს მთავრობაში. ამას ყველა კარგად ხედავს.

როგორც კი კვირიკაშვილი ნორმალურ განცხადებას გააკეთებდა საგარეო სამინისტროში მუშაობის დროს, მაშინვე მიდიოდა მასზე თავდასხმა. აჩვენებდნენ მისი ადგილისკენ, აქ არის შენი ადგილი და ამის იქით აღარ წახვიდეო. როგორც ჩანს, იქ არიან ივანიშვილთან უფრო დაახლოებული პირები.

***– ვინ არიან ეს უფრო დაახლოებულები?***

– ამბობენ, რომ ნოდარ ჯავახიშვილს გაცილებით მეტი შესაძლებლობები და უფლებები აქვს ივანიშვილის კარზე, ვიდრე სხვას რომელიმეს.

***– მაშინ რატომ არ დანიშნა პრემიერ-მინისტრად ჯავახიშვილი? მისი კანდიდატურაც ხომ განიხილებოდა?***

– ვერ გეტყვით. როგორც ჩანს, აქაც რჩევა მისცეს. ეჭვი მაქვს, რომ მას ძალიან კარგი მრჩევლები და პოლიტტექნოლოგები ჰყავს.

სწორედ მათ მისცეს რჩევა, რომ ამ ეტაპზე საჭირო იყო ისეთი პიროვნების დანიშვნა, რომელიც მისაღები იქნება როგორც ოპოზიციისთვის, ისევე მოსახლეობის უმრავლესობისათვის. შესაბამისად, ის არ აღიზიანებს არავის.

***– ეს მითითება ხომ არ მოვიდა დასავლეთიდან? ამბობენ, რომ იყო მოთხოვნა, შეცვლილიყო ღარიბაშვილი.***

– არც ეს არის გამორიცხული. ვიმეორებ, 2016 წლის არჩევნებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ის უნდა ჩატარდეს გამჭვირვალედ, უნდა ჩატარდეს ექსცესების გარეშე.

ჩვენმა ქვეყანამ უნდა გააგრძელოს სვლა დემოკრატიულ გზაზე და ჩვენ აუცილებლად უნდა წავიდეთ ევროპისაკენ. ვიღაცებს ეს მთავრობაში ძალიან არ უნდათ, მაგრამ წინა ხელისუფლებამ კარგი ინერცია მისცა და ეს ქვეყანა ახლა ინერციით მიდის. რაღაც-რაღაცები კარგი მაინც ხდება.

მე არ ვამბობ, რომ კარგი არაფერი ხდება. ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელ-ნელა მივდივართ წინ. თუ ამას დაემატება საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილება, ის, რა მოთხოვნებსაც ოპოზიცია აყენებს, იქნება უზარმაზარი ნაბიჯი.

***– თუმცა ამ ცვლილებებზე წასვლას არ აპირებს ხელისუფლება.***

– ახლა არა. ახლა რომ არ გააკეთებენ, ეს გასაგებია. უმრავლესობა 2016 წელს მაჟორიტარების ხარჯზე კვლავ ოცნების ხელში იქნება.

***– ანუ სიურპრიზებს არ ველოდებით?***

– არა. ამ კუთხით მე არაფერს ველოდები, ხოლო მომავალი არჩევნებისთვის, 2020 წლის-

გაგრძელება მე-4 გვერდზე


# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

**ობიექტი №1**

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi@yahoo.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

თევზჭერის ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:

ა) ლიცენზიის მიღებიდან ერთი წლის ვადაში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარუდგინოს წყლის ობიექტისა და თევზსამეურნეო საქმიანობის მართვის არანაკლებ 5 -წლიანი გეგმა (შემდგომში – მართვის გეგმა), ხოლო მისი ვადის გასვლის შემდეგ – ახალი გეგმა ლიცენზიის დარჩენილი ვადის შესაბამისად.

ბ) შეასრულოს მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები.

გ)ლიცენზიით განსაზღვრულ წყლის ობიექტზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღკვეთოს სამართალდარღვევის ფაქტები და შესაბამის ორგანოებს დროულად მიაწოდოს ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ.

დ) ისარგებლოს წყლის ობიექტებით და მათში არსებული რესურსით მხოლოდ ლიცენზიით განსაზღვრული მიზნებითა და ფარგლებში.

ე) დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი თევზჭერის ვადები და წესები.

ვ) დაიცვას ლიცენზიის გამცემის მიერ დამტკიცებული თევზჭერის კვოტები.

ზ) უზრუნველყოს წყლის ობიექტში არსებული მაღალი საკონსერვაციო ღირებულების მქონე თევზისა და სხვა ჰიდრობიონტების მრავალფეროვნებისა და სიცოცხლისუნარიანი პოპულაციების შენარჩუნება.

თ) უზრუნველყოს დადგენილი ფორმით სარეწაო ჟურნალის, აგრეთვე მეურნეობაში თევზის რესურსით სარგებლობის, აღწარმოებისა და დაცვის შიდასააღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოება.

ი) მართვის გეგმის დამტკიცებამდე წყალსატევის დათევზიანება განახორციელოს სამინისტროსთან შეთანხმებით, ხოლო მართვის გეგმის დამტკიცების შემდეგ – მხოლოდ მართვის გეგმით განსაზღვრული წესით.

კ) თევზჭერის პერიოდში, ყოველი თვის 5 რიცხვამდე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიაწოდოს ინფორმაცია მოპოვებული თევზისა და სხვა ჰიდრობიონტების (როგორც ბუნებრივად, ასევე, ხელოვნურად მოშენებულის) შესახებ სახეობებისა და ოდენობების ჩვენებით.

ლ) უზრუნველყოს საქართველოს „წითელ ნუსხაში„ შეტანილი ცხოველთა სამყაროს ობიექტების დაცვისა და ბუნებრივი აღწარმოების მიზნობრივი პროგრამის შემუშავება და განხორციელება.

მ) ლიცენზიის გაცემის წლის მომდევნო წელს და შემდეგ ყოველწლიურად სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარადგინოს მოთხოვნა თევზის რესურსის მოპოვების კვოტის დამტკიცების თაობაზე. წარდგენილ მოთხოვნაში უნდა აისახოს შესაბამისი კვლევის საფუძველზე მომზადებული ინფორმაცია თევზის რესურსის მარაგის თაობაზე. აღნიშნულ ინფორმაციაში გათვალისწინებული უნდა იქნეს წყალსატევის თევზპროდუქტიულობა და თევზის რესურსით სარგებლობის შესახებ მონაცემები თევზის სახეობებისა და ოდენობების მიხედვით.

ნ) შეწყვიტოს თევზჭერის ობიექტებით სარგებლობა და დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს და ვეტერინარულ, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ სამსახურებს თევზისა და სხვა ჰიდრობიონტების დაავადების, მათი საბინადრო გარემოს გაუარესების, განადგურების საშიშროების წარმოშობისა და დაღუპვის შესახებ; განახორციელოს დაავადებების პროფილაქტიკისა და მათთან ბრძოლის კომპლექსური ღონისძიებანი.

ო) არაბორიგენულ სახეობებზე თევზჭერის დაწყებამდე ორი კვირით ადრე შეატყობინოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს თევზჭერის დაწყებისა და დამთავრების ვადები.

პ) მართვის გეგმით გათვალისწინებული დათევზიანების ღონისძიების განხორციელების შესახებ (დაწყებისა და დამთავრების ვადები) დათევზიანებამდე ორი კვირით ადრე შეატყობინოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს და მხოლოდ, დეპარტამენტის შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით უზრუნველყოს დათევზიანება (რაზეც დგება შესაბამისი აქტი). დათევზიანებისას ასევე, სავალდებულოა შესაბამისი ვეტერინარულ-სანიტარიული დასკვნა.

ჟ) ხელი არ შეუშალოს მისთვის გადაცემულ წყლის ობიექტზე სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარებას.

რ) უზრუნველყოს წყალსატევში წყლის რაციონალური გამოყენება და იზრუნოს მისი ხარისხის შესანარჩუნებლად და აღსადგენად; დაიცვას წყალსარგებლობის დადგენილი წესები, ნორმები და რეჟიმი, არ დაუშვას თევზის მოხვედრა სამელიორაციო ან/და სხვა სისტემებში; უზრუნველყოს წყლის დაცვა დაბინძურების, დანაგვიანებისა და დაშრეტისაგან, წყლის რესურსებზე მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება და მისი შედეგების ეფექტური ლიკვიდაცია.

ს) შესაბამის უწყებებთან შეთანხმების გარეშე არ დაუშვას თავის სარგებლობაში არსებულ წყალსატევზე ან წყალდაცვით ზოლში ფსკერდამაღრმავებელი, ასაფეთქებელი სამუშაოების წარმოება, შემსვლელი და გამსვლელი არხების გაყვანა, კანონმდებლობით დადგენილი სათანადო ნებართვის გარეშე მშენებლობა, ნაპირის ამაღლება, დამბებით გადაკეტვა და სხვა სახის სამუშაოების ჩატარება, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს წყალსატევის რეჟიმის შეცვლა.

ტ) ლიცენზიის გასხვისებისას დაიცვას „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ„ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები.

უ) ლიცენზიის ვადის გასვლის წლისათვის უზრუნველყოს წყალსატევში თევზისა და სხვა ჰიდრობიონტების მართვის გეგმით განსაზღვრული აღწარმოების გათვალისწინებით მიღწეული მარაგის არსებობა, ასევე, გადააბაროს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ლიცენზიით განსაზღვრულ წყლის ობიექტში არსებული ბუნებრივი რესუსურსი.

ფ) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წყლის დაცვისა და გამოყენების, ასევე ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის სხვა შესაბამისი მოთხოვნები.

ქ) სალიცენზიო ობიექტზე თევზის საერთო მარაგი ლიცენზიის გაცემიდან მეოთხე - მეშვიდე წელს, უნდა შეადგენდეს მინიმუმ ორ ტონას, ასევე ორ ტონას უნდა შეადგენდეს თევზის საერთო მარაგი ლიცენზიის გაცემიდან მერვე და შემდგომ წლებში. თევზის საერთო მარაგი მინიმუმ ორ ტონას უნდა შეადგენდეს ლიცენზიის ვადის ამოწურვის დროს.

ღ) სალიცენზიო ობიექტზე მე-4 წელს და შემდგომ წლებში თევზის საერთო მარაგში ადგილობრივი კალმახის წილი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 30%, ასეთივე მდგომარეობაში უნდა იყოს ტბა ლიცენზიის ვადის ამოწურვისას.

ყ) ლიცენზიის გაცემიდან პირველ წელს წყლის ობიექტზე კვოტის დამტკიცება შეუძლებელია თევზის მცირე რაოდენობის გამო.

შ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სალიცენზიო წყლის ობიექტზე მოსახლეობას არ აუკრძალოს შინაური ცხოველებისათვის წყლით სარგებლობის (დაწყურების) უფლება.

ჩ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული „ლევანის“ ტბა

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

32 000 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

3 200 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

16 200 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 8 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 8 თებერვალს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 8 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 8 თებერვალს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

10 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

# სოსო ცინცაძე: „ქართული ოცნება“ საარჩევნო კარუსელს ვერ დაატრიალებს“

ნათია ხურცილავა




პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური ძალების შესაძლებლობებზე საუბრობს. ცინცაძე აცხადებს, რომ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული ძალა „ქართული ოცნება“ იქნება.

**სოსო ცინცაძე:**

– დღეს ისეთი სიტუაციაა, რომ „ქართულ ოცნებას“ არ შეუძლია, 2016 წლის არჩევნები წააგოს. ჯერ ერთი, მშვენივრად ესმის, რა ელის დამარცხებულ პარტიას. მეორე, მაინც მას ჯერ ალტერნატივა არ ჰყავს.

ნებისმიერმა მმართველმა პარტიამ ჩვენნაირ ქვეყანაში იცის, თუ ის არჩევნებს წააგებს, მერე მისი ხელისუფლებაში მობრუნების შანსი ძალიან მწირია, თუ არა ნულის ტოლი. ამდენად, ნებისმიერ შემთხვევაში „ოცნებამ“ იცის, რომ უნდა გაიმარჯვოს, დაახლოებით ასე, როგორც 1941 წელს მოსკოვში: დასახევი აღარ არის, ზურგს უკან მოსკოვია.

დემოკრატიულ ქვეყნებში არჩევნებში დამარცხება ტრაგედია არ არის. დამარცხება ყოველთვის არის ტრაგედია, მაგრამ ევროპაში დღეს დამარცხდები, ხვალ გაიმარჯვებ.

რაც შეეხება ჩვენთან, ჩვენ ვნახეთ, როგორ მარცხდებოდნენ არჩევნებში სახელისუფლებო პარტიები და შემდეგ უკვე როგორ ქრებოდნენ პოლიტიკური ასპარეზიდან. ეს ეტაპი საქართველომ გაიარა, მაგრამ დამარცხება მაინც დამარცხებაა. როდესაც ვამბობ გაიარას, ვგულისხმობ იმას, რომ ნაციონალური მოძრაობა არ გაქრა და ის მაინც, როგორც პარტია, არსებობს.

***– თქვენ ამბობთ, რომ ეს კარგად აქვს გაცნობიერებული მმართველ პარტიას?***

– რასაკვირველია, კარგად აქვს გაცნობიერებული და სწორედ ამას ემსახურებოდა თუნდაც ის მსხვერპლშეწირვა, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ გაიღო.

***– ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომას გულისხმობთ?***

– დიახ. თუ ეს კარგად არ ექნებოდა გაცნობიერებული ხელისუფლებას, ის ამაზე არ წავიდოდა.

***– არის ეს საკმარისი?***

– ეს სხვა საკითხია. ახლა მთავარი ის არის, როგორი წინასაარჩევნო კამპანია იქნება, რას შემოგვთავაზებს მმართველი პარტია და როგორი იქნება ოპოზიციის მანევრი, როგორი იქნება არჩევნები და ზოგადად წინასაარჩევნო გარემო.

***– თქვენ რა მოლოდინები გაქვთ?***

– „ქართული ოცნება“ შეზღუდულია იმაში, რომ ე.წ. საარჩევნო კარუსელები დაატრიალოს. კარუსელები არ იქნება. არ იქნება გაყალბებული ბიულეტენები ნაგვის ურნაში გადაყრილი. გახსოვთ, მსგავსი ფაქტები იყო სააკაშვილის მმართველობის დროს.

არაცივილიზებული დარღვევები, რომელიც ყვირის, ამ არჩევნებზე არ იქნება. ეს არ იქნება, მაგრამ იქნება ყველაზე ცუდი, ხელისუფლება კანონს მოირგებს. კანონს კი ყოველი არჩევნების წინ ვერ შეცვლი.

ამ საარჩევნო კანონმდებლობით, რომელსაც პარლამენტი იღებს, გარანტირებულია ის, რომ რომელიმე უბანზე ხელისუფლების კანდიდატმა ნაკლები ხმა მიიღოს, ვიდრე ოპოზიციამ, მაგრამ სახელისუფლებო კანდიდატი გავიდეს. ეს არ არის სიახლე.

გასული საუკუნის 80-იან წლებში სწორედ მსგავსი საარჩევნო კანონმდებლობის გამო დიდ ბრიტანეთში იყო გაუთავებელი სკანდალები. საგრაფოები ისე იყო დანაწევრებული, რომ ნაკლები ხმის ამღები იმარჯვებდა, მაგრამ ამას მეორე პალატა აბალანსებდა.

გარდა ამისა, ფულის როლი არჩევნებში ძალიან მაღალია. მე არ ვამბობ, რომ ამომრჩევლის მოსყიდვა ხდება, საუბარია მილიარდერის ფაქტორზე. ეს ფაქტორი მუშაობს.

***– მილიონერი ჩერნოვეცკი არჩევნებში მონაწილეობს. ამ ფაქტს როგორ აფასებთ?***

– ჩერნოვეცკი – ეს უკვე ანომალიაა. თუ ჩერნოვეცკიმ გაიმარჯვა არჩევნებში, ნებისმიერ დონეზე, მაშინ მე ქართველ საზოგადოებას ჯვარს დაუსვამდი. ხშირად ისმის, რომ ქართველი ხალხი ბრძენია, მე პოლიტიკოსი არ ვარ და არავისი ხმა არ მჭირდება, ამიტომ ღიად ვიტყვი, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ჩვენი ხალხი, მე ელექტორატს ვგულისხმობ, სამწუხაროდ, საპირისპიროს ამტკიცებს.

***– პაატა ბურჭულაძეს რა შანსები აქვს ამ არჩევნებზე, თუ მონაწილეობას მიიღებს?***

– პაატა ბურჭულაძეს აქვს შანსები, რომ თავისი გუნდი გაიყვანოს პარლამენტში, მაგრამ მის ტრაგედიად მისივე გარემოცვა იქცევა.

# აფხაზეთში თურქეთის საწინააღმდეგო სანქციები ამოქმედდება

## მოსკოვი აფხაზეთში ჩეჩნეთის მეთოდებს იყენებს?

მარიამ მჭედლიშვილი

11 იანვარს ანექსირებულ აფხაზეთში დამტკიცდება სანქციები თურქეთის წინააღმდეგ. ეს იქნება თურქეთის ეკონომიკური, ასევე საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობების შემზღუდავი სრული სია. აფხაზეთს ამისკენ რუსეთმა მოუწოდა. ამ მიზნით დეკემბრის ბოლოს სოხუმში იმყოფებოდა რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე ვლადისლავ სურკოვი.

თავის მხრივ, რუსეთმა თურქეთს შეზღუდვები მას შემდეგ დაუწესა, რაც თურქეთმა თავის ტერიტორიაზე შემოფრენილი რუსული ბომბდამშენი ჩამოაგდო.

თითქმის ყველა თანხმდება იმაზე, რომ თურქეთთან ეკონომიკური კავშირების გაწყვეტა აფხაზეთის ეკონომიკას დააზარალებს.

– აფხაზეთი ეკონომიკურად მიბმულია თურქეთზე. საგარეო ვაჭრობის ბალანსის დაახლოებით 40% თურქეთთან ვაჭრობაზე მოდის, – აცხადებს ექსპერტი კავკასიის საკითხებში ვარვარა პახომენკო.

მისი გათვლით, ნეგატიური ეფექტი მოსალოდნელია თურქეთის მოქალაქე აფხაზებისთვისაც. რეპატრიანტთა ნაწილი თურქეთიდან ჩამოვიდა აფხაზეთში, სადაც მცირე ბიზნესი წამოიწყო. ამ ადამიანებს მოუწევთ თურქეთში დაბრუნება.

ანალიტიკოსი აღნიშნავს, რომ რუსეთმა იკისრა აფხაზეთის რეალური ეკონომიკისათვის თანხების გამოყოფა, რაც ჯერჯერობით არ გაუკეთებია.



მთლიანობაში, მისი შეფასებით, 2015 წელი აფხაზეთის ეკონომიკისათვის შეიძლება წარმატებულად ჩაითვალოს – ამ პერიოდში აფხაზეთში იმდენი ტურისტი ჩავიდა, რამდენიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არ ჩასულა. გარდა ამისა, უფრო გააქტიურდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გატანა რუსეთის ბაზარზე.

ვარვარა პახომენკოს მონაცემებით, რუსეთში განვითარებული მოვლენებითა და ეკონომიკური კრიზისით ცხინვალის რეგიონი უფრო დაზარალდა, ვიდრე აფხაზეთი. აფხაზეთის ბიუჯეტის 70%-მდე დამოკიდებულია რუსეთზე. ცხინვალის რეგიონის ბიუჯეტი კი თითქმის 90%-ით არის მიბმული მოსკოვზე.

რუსეთის ბოლოდროინდელი საქმიანობა საქართველოს ამ ანექსირებულ კუთხეებში მიმდინარეობს სპეციალური შეთანხმებების საფუძველზე. მათი გაფორმება თბილისმა მაშინვე შეაფასა ანექსიად და საერთაშორისო ნორმების დარღვევად. ამ ხელშეკრულებებით რუსეთმა დაამყარა კონტროლი სოხუმისა და ცხინვალის ძალოვან სტრუქტურებზე, ასევე საბაჟოებზე.

ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ აქ მოსკოვი იყენებს ჩეჩნეთთან ურთიერთობის გამოცდილებას. ესაა ელიტების ლოიალურობა კრემლის მიმართ დაფინანსებისა და პირადი გარანტიების სანაცვლოდ.

– ეს აძლიერებს განხეთქილებას რესპუბლიკების ელიტებსა და მცხოვრებლებს შორის. ელიტები აღარ ექვემდებარებიან მოსახლეობას და მხოლოდ კრემლს ემორჩილებიან. სწორედ ლოიალურობა ხდება მათი ძალაუფლებისა და ბიუჯეტების შენარჩუნების, გარანტი, – ამბობს ანალიტიკოსი.

მისივე სიტყვებით, ცხინვალის ელიტაში რუსეთთან შეერთების საკითხში განხეთქილებაა.

# მამუკა გამყრელიძე: „ივანიშვილმა შეიძლება რესპუბლიკელები გააძლიეროს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

თვის, თუ ეს ცვლილებები განხორციელდება, ეს ძალიან კარგი იქნება, შემდეგში კი, ალბათ, კონსტიტუციაც უნდა შეიცვალოს.

ჩემი აზრით, საქართველოსათვის ასეთი მოდელი, სუსტი პრეზიდენტითა და გაუგებარ მდგომარეობაში მყოფი მთავრობით, მიუღებელია. აუცილებელია ძლიერი აღმასრულებელი მთავრობა, სათავეში პრეზიდენტი. საერთოდ არ არის საჭირო ეს პრემიერ-მინისტრი, ის, რაც თავიდან იყო ჩაფიქრებული. ეს პრემიერ-მინისტრის პოსტი რომ გამოიგონეს ზურაბ ჟვანიასათვის, ყველამ ვიცით.

***– ანუ საპრეზიდენტო მმართველობას ემხრობით?***

– დიახ. ჯერჯერობით, სანამ საქართველო არ არის მაღალი პოლიტიკური კულტურის მქონე ქვეყანა, ამ ეტაპზე საპრეზიდენტო მმართველობა გაცილებით მისაღებია. ჯერ საარჩევნო სისტემა უნდა შეიცვალოს, შემდეგ – კონსტიტუცია! ეს დიდი შეცდომა იყო და ნამდვილად არ უნდა გაეკეთებინა ეს მიხეილ სააკაშვილს.

***– უმრავლესობაში ოცნება დარჩებაო, აცხადებთ და კოალიცია გაფართოვდება?***

– რაში უნდა სჭირდებოდეთ გაფართოება?! შესაძლოა ჩამოყალიბდნენ სხვადასხვა შეხედულების მქონე ორ ჯგუფად.

***– რესპუბლიკელები კიდევ უფრო გაძლიერდებიანო...***

– ეგ თავისთავად ეგრეა. რესპუბლიკელები ერთადერთი ცოცხალი ორგანიზმია კოალიციის სხეულზე. რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილი მათ გააძლიერებს, შეიძლება საერთოდ ჩამოიშოროს. მისგან არც ეს არის გამორიცხული. რა მოუვა თავში, კაცმა არ იცის.

***– რაიმე ახალი გასაოცარი სვლა შეიძლება რომ შემოგვთავაზოს?***

– როგორც ივანიშვილს ვაკვირდები, ის არ გამოირჩევა განსაკუთრებული მახვილგონიერებით, უფრო მრჩევლები ჰყავს კარგი. მისი მახვილგონიერება კი იმაშია, რომ იმ ხალხს ყურს უგდებს. მას გასაოცარი ე.წ. მხეცის ყნოსვა აქვს, კარგი ალღო აქვს და ზუსტად ხვდება, საით უნდა წავიდეს. ეს ნამდვილად აქვს და ამას ვერ წავართმევთ.

ფულის შოვნაც და მისი შენარჩუნებაც სწორედ ამასთან არის დაკავშირებული. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საზოგადოებაში ივანიშვილის პერსონის მიმართ ინტერესი დაიკარგა.

საზოგადოებაში მისი რეიტინგი ყოველდღიურად იკლებს. დღეს აქტუალიზება ხდება ისევ და ისევ პატრიარქის გარშემო, რაც ძალიან საშიშ საკითხად მიმაჩნია.

***– რა არის ამაში საშიში?***

– ეს სრულიად სხვა თემაა. პოლიტიკასა და ეკლესიას ერთმანეთთან საერთო რა უნდა ჰქონდეს?! როდესაც ენდიის კვლევებში გამოკითხულთა 41% აცხადებს, რომ ის მისი სულიერი მოძღვრის შეხედულებისამებრ გააკეთებს არჩევანს 2016 წლის არჩევნებზე, ეს, მინიმუმ, საშიშია!

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# დავით კირკიტაძის ძმას სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა

მთავარი პროკურატურა ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის დავით კირკიტაძის ძმის, ირაკლი კირკიტაძის საქმესთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში საუბარია 4 იანვარს მომხდარი შემთხვევის დეტალებზე და ბრალდების მხარის მიერ მოთხოვნილი პატიმრობის გამოყენების საჭიროებაზე.

საქართველოს მთავარი პროკურატურის განცხადებას „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

– თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და ბრალდებულ ირაკლი კირკიტაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2016 წლის 4 იანვარს, დაახლოებით 23:30 საათისათვის, ირაკლი კირკიტაძე ავტომანქანით მივიდა დიღმის მასივში მდებარე თავის საცხოვრებელ სახლთან, სადაც შეამჩნია მისთვის მიუღებელ ადგილზე მდგომი მეზობლის კუთვნილი ა/მანქანა.

ირაკლი კირკიტაძე რამდენიმე წუთის განმავლობაში ჯერ უწყვეტი ხმოვანი სიგნალით, ხოლო შემდგომ უცენზურო სიტყვებით თავისთან უხმობდა ა/მანქანის მეპატრონეს.

ხმაურზე მალევე მივიდა ა/მანქანის მეპატრონის შვილი, რომელსაც კირკიტაძემ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. იმავდროულად, ხმაურზე შეკრებილი სხვა მეზობლები და სტუმრად მყოფი პირები მოუწოდებდნენ ამ უკანასკნელს სიმშვიდისაკენ, მაგრამ კირკიტაძემ დაწყნარების სანაცვლოდ ამოიღო ცეცხლსასროლი იარაღი, მოიყვანა საბრძოლო მდგომარეობაში, მანქანასთან მისულ მეპატრონის შვილს დაემუქრა მოკვლით და იარაღის ტარის მეშვეობით მიაყენა სხეულის დაზიანება. ამასთანავე, იგი განაგრძობდა უმისამართო გინებას.

მისი ამ ხულიგნური ქმედების აღკვეთა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ადგილზე მისული საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის მიერ.

ჩადენილი ქმედების გამო 2016 წლის 6 იანვარს ბრალდებულის სახით დაკავებულ იქნა მოქალაქე ირაკლი კირკიტაძე და წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ხულიგნობის ჩადენას გულისხმობს.

იმის გათვალისწინებით, რომ ირაკლი კირკიტაძეს ბრალად ედებოდა მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა, მისი ქმედება გამოირჩეოდა ძალადობრივი ხასიათით, დანაშაული ჩადენილი იყო ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, რაც დამატებით საფრთხეს ქმნიდა გარშემომყოფთათვის, აგრეთვე მას ადრე უკვე ჰქონდა ჩადენილი ანალოგიური სახის დანაშაული, კერძოდ კი გასა-




მართლებული იყო ხულიგნობის ჩადენისა და სხეულის დაზიანებისათვის.

ამასთან, ბრალდებული და დაზარალებული იყვნენ მეზობლები, რაც ქმნიდა მოწმესა და დაზარალებულებზე ზემოქმედების საფრთხეს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუშლიდა საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებას, ბრალდების მხარემ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების გამოყენების მოთხოვნით.

სასამართლომ გაიზიარა რა პროკურატურის მყარი არგუმენტები, ბრალდებულ ირაკლი კირკიტაძეს აღკვეთის ღონისძიებად შეურჩია პატიმრობა.

საქმეზე გრძელდება გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მესამე ნაწილით, რომელიც თავისუფლების აღკვეთას ოთხიდან შვიდ წლამდე ვადით ითვალისწინებს, – ნათქვამია საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

## ობიექტი №1

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi@yahoo.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება განახორციელოს კომპანია ბი-პი-სთან წინასწარ შეთანხმებული პროექტის შესაბამისად.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ„ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქსოვრისის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ქსნის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 69 000 მ3 ).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქსოვრისის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

9 252 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

925,2 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

4 826 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 8 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 8 თებერვალს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 8 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 8 თებერვალს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

5 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №2

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi@yahoo.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ„ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

გ) ობიექტზე ქვიშის მოპოვება უნდა განხორციელდეს „მიწამწოვი„ ტექნიკის საშუალებით.

დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. საჯავახოს მიმდებარე ტერიტორია, მდ. „რიონის“ ქვიშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 157 200 მ3).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. საჯავახოს მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

21 078 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

2 107,8 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

10 739 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 8 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 8 თებერვალს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 8 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 8 თებერვალს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

5 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №3

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi@yahoo.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით, ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს.

გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების ალმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. დიდი ჯიხაიშის მიმდებარე ტერიტორია, მდ. გუბისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 231 600 მ3).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. დიდი ჯიხაიშის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

31 054 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

3 105,4 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

15 727 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 8 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 8 თებერვალს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 8 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 8 თებერვალს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

5 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში.

## ობიექტი №4

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi@yahoo.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

– ჭადრაკისთვის მნიშვნელოვანი წელი იყო, რადგან გოგონათა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. ეს არ იყო ადვილი მისაღწევი, რადგან სერიოზული მეტოქეები გვყავდა. საქართველოს ასეთი წარმატება აქამდე არ ჰქონდა და ეს ნაკრები ქართული ჭადრაკის ისტორიაში შევიდა. აღსანიშნავია, რომ სპორტის სხვადასხვა სახეობაში სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს. 2016 წელი ოლიმპიური წელია და მთავარია, ლიცენზიები მაქსიმალურად მოვიპოვოთ. ეს წელი სხვა რამითაც იქნება გამორჩეული – გარდა რიოში გასამართი ოლიმპიადისა, საქართველოში მსოფლიოს გრან პრი ქალთა შორის გაიმართება. წარმატებას ვუსურვებ ყველა სპორტსმენს.

წლის საუკეთესო ფედერაციის ტიტული ძალოსნობის ფედერაციას ერგო. მისი კონკურენტები იყვნენ გასული წლების ნომინანტები – კალათბურთისა და რაგბის ფედერაციები.

ძალოსნობის ფედერაციამ 2015 წელს თბილისში ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა და საერთაშორისო ფედერაციების ხელმძღვანელებისგან კარგად ჩატარებული ტურნირისთვის მადლობაც მიიღო. ამასთან, ლაშა ტალახაძე – მსოფლიოს, ხოლო ირაკლი თურმანიძე ევროპის ჩემპიონები გახდნენ.

**კახი კახიაშვილი, ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი:**

– კარგი წელი გამოგვივიდა და ეს დასაფასებელია. ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა კარგი გამოგვივიდა და ევროპისა და მსოფლიოს ფედერაციებისგან დადებითი შეფასება მივიღეთ. ალბათ, ამ ფაქტმა უფრო განაპირობა ჩვენი აღიარება. რაც შეეხება ჩვენ ფედერაციას, სადღეისოდ 4 დარბაზი გვაქვს, რაც ძალიან ცოტაა. 2016 წელს ჩვენი ხარჯებით და ძალისხმევით კიდევ 9 დარბაზი ჩადგება მწყობრში. ოლიმპიური თამაშები გვიახლოვდება, სამი ლიცენზია უკვე მოვიპოვეთ და კიდევ ერთის შანსი გვაქვს. მადლობა ყველას აღიარებისთვის. წელს მძიმე წელი გვაქვს – წინ რიოს ოლიმპიადაა და ყველა ქართველ სპორტსმენს წარმატებებს ვუსურვებ.

საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენი ზვიად პატარიძე გახდა. ქუთაისელმა მოჭიდავემ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონობა როგორც ინდივიდუალურ, ასევე გუნდურ შეჯიბრებებში მოიგო.

**ზვიად პატარიძე:**

– სერიოზული კონკურენტი მყავდა. ბექა ღვინიაშვილის სახით ძალიან გახარებული ვარ. ყველას მადლობას ვუხდი და შევეცდები, 2016 წელს ოლიმპიური მედალი მოვიპოვო.

საუკეთესო მწვრთნელი ნუგზარ სხირელი გახდა, რომელსაც კონკურენციას რაგბისა და კალათბურთის ნაკრებების მწვრთნელები მილტონ ჰეიგი და იგორ კოკოშკოვი უწევდნენ.

სხირელი საუკეთესო სპორტსმენის აღმზრდელი და მწვრთნელია და ამით აჯობა კონკურენტებს.

პარაოლიმპიურ სახეობებში ვაჟებში – ზვიად გოგოჭური, ხოლო ქალებში ირმა ხეცურიანი გამოარჩიეს.

გოგოჭურმა სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულში უსინათლოთა მსოფლიო თამაშებზე ძიუდოში დებიუტი ოქროს მედლით აღნიშნა, ხეცურიანმა კი საფრანგეთში გამართულ მოფარიკავეთა მსოფლიოს თასის ერთ-ერთ ეტაპზე ოქროს მედალი მოიპოვა.

**ირმა ხეცურიანი:**

– არ ველოდი აღიარებას. მე და ჩემმა გუნდმა მსოფლიოს თასისთვის ბევრი ვიშრომეთ და წარმატებას მივაღწიე. მთავარი ისაა, რომ ჩვენ, პარასპორტსმენები ვამტკიცებთ, რომ ქვეყნისთვის საჭირო პიროვნებები ვართ.

არაოლიმპიურ სახეობაში ზედიზედ მესამედ საუკეთესო სამბოს ნაკრების წევრი ვახტანგ ჩიდრაშვილი გახდა. 57 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზემ მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო. წლის მენეჯერის წოდება ძიუდოს ფედერაციის ხელმძღვანელ დავით ქევხიშვილს ერგო, ხოლო საუკეთესო მსაჯი თემურ ყაზარაშვილი გახდა.

არაოლიმპიურ სახეობაში ზედიზედ მესამედ საუკეთესო სამბოს ნაკრების წევრი ვახტანგ ჩიდრაშვილი გახდა. 57 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზემ მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო.

წლის მენეჯერის წოდება ძიუდოს ფედერაციის ხელმძღვანელ დავით ქევხიშვილს ერგო.

წლის საუკეთესო მსაჯად თემურ ყაზარაშვილი დასახელდა.

სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ დაჯილდოების ცერემონიალზე 5 სპეციალური პრიზი გასცა. მართალია, წლის საუკეთესო სპორტსმენის ნომინაციაზე საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების ლიდერი მამუკა გორგოძე არ ფიგურირებდა, თუმცა მან საუკეთესო კაპიტნის წოდება მიიღო. მის ნაცვლად პრიზი ახალგაზრდა მორაგბე ვასილ ლობჟანიძემ ჩაიბარა.

მსოფლიოს თასზე ახალ ზელანდიასთან გამართულ მატჩში გორგოძე საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს, ჩემპიონატის დასრულების შემდეგ კი მსოფლიოს რამდენიმე ინტერნეტ და ბეჭდურმა გამოცემამ მამუკა ინგლისში გამართული ტურნირის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა.

წლის აღმოჩენა ძიუდოისტ გოგონათა ნაკრები გახდა – მზია ბებოშვილმა, მარიამ ჯანაშვილმა, ეთერ ლიპარტელიანმა და ნატალია ყიფშიძემ რამდენიმე ტურნირზე, მათ შორის თბილისში გამართულ ოლიმპიურ ფესტივალზე ისახელეს თავი.

ბიზნესკომპანიებში ვითიბი ბანკი გამოარჩიეს, რომელმაც გასულ წელს ქართულ სპორტს 2.400.000 ლარი მოახმარა.

სპორტულ მედიცინაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ჯილდო ზურაბ კახაბრიშვილს გადაეცა, რომელიც ოლიმპიური ნაკრების ექიმია.

სტუდენტური სპორტის მხარდაჭერისთვის საუკეთესოობა საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტს ერგო.

**ტარიელ ხეჩიკაშვილი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი:**

– 2015 წელი ქართული სპორტისთვის წარმატებული გამოდგა. სპორტსმენებს წარმატების მისაღწევად პირობები აქვთ და, რაც მთავარია, ყველა ერთად ვართ, ჩვენ, გულშემატკივრები. რაც შეეხება ფედერაციების დაფინანსების თემას, ჩვენ რამდენიმე კრიტერიუმი გვაქვს და ასე განვსაზღვრავთ, რომელი ფედერაცია რამდენს მიიღებს. რა თქმა უნდა, სადაც მეტია წარმატების შანსი, დაფინანსებაც შესაბამის ფედერაციებს მეტი ექნებათ.

**ლერი ხაბელოვი, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი:**

– ნამდვილად წარმატებული წელი გვქონდა. ორი მსოფლიოს ჩემპიონი გვყავს და ლიცენზიებიც მოვიპოვეთ. 2015 წელი კიდევ იმით იყო გამორჩეული, რომ ახალი ობიექტები შეიქმნა, ჩვენ ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი ჩავატარეთ და ევროპის ოლიმპიური კომიტეტისგან მაღალი შეფასება მივიღეთ. ჯერ კიდევ გვაქვს სალიცენზიო დრო და ვიმედოვნებ, რიოში გასამართ ოლიმპიადაზე მრავალი სპორტსმენით წარვდგებით.

**მანუჩარ კვირკველია, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი:**

– ჭიდაობის სახეობას რამდენიმე პრიზი ერგო, საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენი გვყავს, ასევე წლის საუკეთესო სპორტსმენიც ჭიდაობის სახეობიდან გამოირჩა. რამდენიმე ნომინაციაში გავიმარჯვეთ და ეს ჩვენს კარგ მუშაობას ხაზს უსვამს. 2016 წელს შევეცდებით, გულშემატკივრები კვლავ გავახაროთ, მოვიპოვოთ ოლიმპიადის ლიცენზიები და რიოში ღირსეულად წარვდგეთ.

# ფრენბურთელთა ევროშესარჩევ ეტაპს თბილისი მასპინძლობს

დღეს თბილისში იწყება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ფრენბურთში 19 წლამდე გოგონათა შორის.

საქართველოს დედაქალაქს ინგლისისა და ბელარუსის ნაკრებები ესტუმრებიან და შემდეგ ეტაპზე გამსვლელი გუნდის ვინაობას ქართველ თანატოლებთან ერთად გაარკვევენ.

პირველად ერთმანეთს საქართველოსა და ინგლისის ნაკრებები დაუპირისპირდებიან, ხვალ ინგლისელები უკვე ბელარუსებს შეხვდებიან, ხოლო ტურნირის ბოლო დღეს ქართველი გოგონები ბელარუს თანატოლებს გაეჯიბრებიან.

**ირაკლი ჩაჩუა, საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:**

– ქართული ფრენბურთი მეთოდურად ვითარდება და უკვე საერთაშორისო ფედერაციების ყურადღებაც მივიქციეთ. ამის დასტურია თუნდაც ამ შესარჩევი ეტაპის მასპინძლობა, თუმცა მთავარი წინ გველოდება – 2017 წელს საქართველო ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს აზერბაიჯანთან ერთად. ეს უდიდესი მიღწევაა.

რაც შეეხება ამ ტურნირს, მასპინძლობა უპირატესობას გვანიჭებს და გვიჩნდება შანსი, რომ შემდეგ ეტაპზე ვითამაშოთ. ამის გაკეთება რთული იქნება, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. ჩვენი ნაკრების მწვრთნელებიც და მოთამაშეებიც თავდაუზოგავად შრომობენ, რათა შედეგი მივიღოთ.




# შედეგები

**6 იანვარი**

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

შვედეთი-ესტონეთი ........................ 1:1
რუანდა-კამერუნი ........................ 1:1

**ესპანეთი. სამეფო თასი**

ბილბაო-ვილიარეალი ........................ 3:2
მირანდესი-დეპორტივო ........................ 1:1
ვალენსია-გრანადა ........................ 4:0
ბეტისი-სევილია ........................ 0:2
ბარსელონა-ესპანიოლი ........................ 4:1

**იტალია. სერია ა**

უდინეზე-ატალანტა ........................ 2:1
მილანი-ბოლონია ........................ 0:1
კიევო-რომა ........................ 3:3
იუვენტუსი-ვერონა ........................ 3:0
ლაციო-კარპი ........................ 0:0
პალერმო-ფიორენტინა ........................ 1:3
სასუოლო-ფროზინონე ........................ 2:2
ემპოლი-ინტერი ........................ 0:1
ნაპოლი-ტორინო ........................ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 18 | 12 | 3 | 3 | 24-11 | 39 |
| 2.ფიორენტინა | 18 | 12 | 2 | 4 | 36-16 | 38 |
| 3.ნაპოლი | 18 | 11 | 5 | 2 | 33-14 | 38 |
| 4.იუვენტუსი | 18 | 11 | 3 | 4 | 31-14 | 36 |
| 5.რომა | 18 | 9 | 6 | 3 | 35-21 | 33 |
| 6.სასუოლო | 17 | 7 | 7 | 3 | 22-17 | 28 |
| 7.მილანი | 18 | 8 | 4 | 6 | 24-22 | 28 |
| 8.ემპოლი | 18 | 8 | 3 | 7 | 23-23 | 27 |
| 9.ატალანტა | 18 | 7 | 3 | 8 | 20-21 | 24 |
| 10.ლაციო | 18 | 7 | 3 | 8 | 20-26 | 24 |
| 11.უდინეზე | 18 | 7 | 3 | 8 | 17-25 | 24 |
| 12.კიევო | 18 | 6 | 5 | 7 | 24-21 | 23 |
| 13.სამპდორია | 18 | 6 | 5 | 7 | 27-28 | 23 |
| 14.ტორინო | 17 | 6 | 4 | 7 | 22-22 | 22 |
| 15.ბოლონია | 18 | 7 | 1 | 10 | 20-24 | 22 |
| 16.პალერმო | 18 | 5 | 3 | 10 | 18-29 | 18 |
| 17.ჯენოა | 18 | 4 | 4 | 10 | 17-26 | 16 |
| 18.ფროზინონე | 18 | 4 | 3 | 11 | 19-36 | 15 |
| 19.კარპი | 18 | 2 | 5 | 11 | 15-33 | 11 |
| 20.ვერონა | 18 | 0 | 8 | 10 | 12-30 | 8 |

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მადეირა-ბოავიშტა ........................ 1:0
აროუკა-ეშტორილი ........................ 1:0
ტონდელა-ფერეირა ........................ 0:2
მორეირენსე-გიმარაეში ........................ 3:4
ბელენენსეში-ნაციონალი ........................ 2:2
ბრაგა-აკადემიკა ........................ 3:0
ბენფიკა-მარიტიმუ ........................ 6:0

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

მაიამი-ნიუ იორკი ........................ 90:98
ორლანდო-ინდიანა ........................ 86:95
ვაშინგტონი-კლივლენდი ........ 115:121
ბოსტონი-დეტროიტი ........................ 94:99
ბრუკლინი-ტორონტო ........................ 74:91
მინესოტა-დენვერი ........................ 74:78
ნიუ ორლეანი-დალასი ............ 91:100
ზაზა ფაჩულიას არ უთამაშია
სან ანტონიო-იუტა ........................ 123:98
ფინიქსი-შარლოტი ................ 111:102
ოკლაჰომა-მემფისი ........................ 112:94
პორტლენდი-კლიპერსი ........... 98:109

**ჩოგბურთი**

**ატპ. ბრისბენი**

გოფინი-პულიე ................ 6:7;6:4;3:6
დოდიგი-რაონიჩი ................ 7:6;1:6;4:6
ტროიცკი-დიმიტროვი ........ 7:5;6:7;2:6

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ღია წერილი საქართველოს ინტელიგენციას

საქართველოს საამაყო შვილის, ლადო ასათიანის სიტყვები მაწვალებს:

„რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი,
თუ მამულს თავი არ ანაცვალე.
ეს აწვალებდა ცოტნე დადიანს,
მეც ქართველი ვარ და ეს მაწვალებს".

მამულზე ფიქრი არა მარტო დღეს, 60 წლისას, არამედ 16 წლიდან, როცა დავიწყე გამოგონებების შექმნა: საავტორო უფლების №1194316; 1242052. და მას შემდეგ, მოსწავლე ვიყავი თუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, მიმსახურია ჩიტაში ჯარში თუ ვმუშაობდი, რითაც შემეძლო, ვპასუხობდი დიდებული პოეტის სიტყვებს.

შევქმენი 38 გამოგონება. დანერგილი გამოგონებებით საქართველომ მიიღო ორი მილიონი მანეთის ეკონომიკური ეფექტი 1980-90 წლებში, რისთვისაც 5-ჯერ დამაჯილდოეს უმაღლესი საავტორო გასამრჯელოებით, 3-ჯერ – ოქროს მედლით. 32 წლის ასაკში კი მომანიჭეს დამსახურებული გამომგონებლის წოდება და მიღებული მაქვს მთავრობის ჯილდოები. ქველმოქმედების მადლიც გამიღია, როცა პირველი პრემია 20.000 მანეთი 1986 წელს გადავრიცხე ჩერნობილის დახმარების ფონდში. გამოქვეყნებული მაქვს 50-ზე მეტი ეროვნული მნიშვნელობის საგაზეთო სტატია, მათ შორის კრიტიკული წერილებიც. აღსანიშნავია ისიც, რომ მევენახეობის ინტენსიფიკაციის თვალსაჩინო ძვრების მიზნით შევქმენი „ვენახების გაშენება მაღალ-დაბალი ფორმირებებით", რომელიც საჩუქრად გადავეცი საქართველოს, პატენტი №245, მისი დიდი ეკონომიკური ეფექტის გამო. კონკრეტული შედეგები ასახულია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოცემულ მონოგრაფიაში „მევენახეობა ახლებურად", ახალგაზრდობის საგამომგონებლო საქმიანობის გააქტიურების მიზნით კი გამოვეცი „ვაზი, ჩვენი სიამაყე", და წარმატებითაც ვრცელდება.

ხნოვანებაში ლექსების წერაც დავიწყე, მით უმეტეს, როდესაც ღვინო მაქვს დალეული. ჩემი ლექსები საქართველოზეა, ალმაშენებელზე, ვაზზე, ვენახზე, ვენახი კაცის დიდი ხიბლია,
საამაყო და ღვთისგან შობილი,
წმინდა, უკვდავი, როგორც ბიბლია,
სიყვარულისთვის წარმოშობილი.

ღვინოზე. ბოლოს, 1 იანვარს დაწერილს კი ახლა გთავაზობთ.

**ჩვენი საშველი**

საქართველოს მთა და ველი,
მოჭიკჭიკე გვრიტ-ფრინველი
ორკესტრია ძველისძველი,
და გალობა სასურველი.

წინაპარი დიდ-ქართველი
გმირობაა საკვირველი,
რადგანაც ვართ სულით ქველი,
სისხლით თავის გამწირველი.

დაე, ვიყოთ მიმზიდველი,
თავად ქვეყნის მომქარგველი,
გვინდა ნიჭი უშურველი,
რაინდობა არაგველი.

ყველა კარგის მიმბაძველი,
საგანძურის შემნახველი,
წინსვლისთვის კი საძირკველი,
ზედ წალკოტი ამსახველი.

მარად ვიყოთ უზრუნველი
მეტ სახელის მომხვეჭელი
და არ გავხდეთ სატანჯველი,
გზა-კვალია უეჭველი.

რომ ემატოს მტერს ნაღველი,
ჩვენ კი მოდგმით ზე ქართველი
გვარგებს გონის დამნახველი
და ქმედება უცოდველი,

მწვერვალები ურყეველი,
ყველა მხარეს ოქროს რთველი,
გულსახარად ამსახველი,
ილიას ჭკუის მმართველი!

და რომ გავხდეთ უძლეველი,
ხამს კი გულით რუსთაველი,
დამკვიდრებას გვთხოვს ყოველი,
აზრი ზე დაუფარველი.

სტრიქონების შედეგს ველი,
რომ ქვეყნისთვის გახდეს მშველი,
და – თუ ამით ვერ ვუშველი,
თხოვნაა!
შენა თქვი ჩვენი საშველი.

აღნიშნულის მოყვანა დამჭირდა მხოლოდ იმისთვის, რომ თქვენთვის ნათელი გამხდარიყო, ლადო ასათიანის ლექსს სიტყვით ვპასუხობ თუ საქმით.

ახლა კი ყველაზე მთავარი: ცნობილია, რომ ლადო ასათიანს შექმნილი აქვს მრავალი შედევრი და მათ შორისაა ისეთიც, მთელი საქართველო რომ მღერის და კვლავაც საუკუნეების განმავლობაში იმღერებს. ასევე მის მდიდარ პოეზიაში არის სტროფი:

„გთხოვთ, არ გამიგოთ სხვანაირ სახით
ეს გახუმრება და ეს ბარათი,
მე მინდა, თქვენთან დავიდგა სახლი
და მთაწმინდაზე დავრჩე მარადის".

ლექსი დაწერილია 1938 წელს, 21 წლის ასაკში, როცა უკვე მძიმედ დაავადებული პოეტი ფიქრობს სიკვდილზე და სურს მთაწმინდაზე დასაფლავება, რადგან „ისეთ ხუმრობას რა ვუთხარ, ნახევარი სიმართლე არ იყოსო".

იმასთან დაკავშირებით, რომ გაისად, 2017 წელს, სრულდება უკვდავი პოეტის დაბადების 100 წლისთავი, შემოვდივარ ინიციატივით თქვენ წინაშე, რომ მისი იუბილე აღნიშნული იყოს ანდერძის ასრულებით და გადავასვენოთ მთაწმინდაზე. პოეტი, რომლის სიმღერებს მთელი ერი სიამაყით მღერის, ამის ღირსია.

აღნიშნულთან დაკავშირებით იმიტომ მოგმართავთ თქვენ, პატივცემულო ინტელიგენციის წარმომადგენელნო, რომ ერთობლივად დავაყენოთ ეს საკითხი მთავრობაში, რადგან დამოუკიდებელ საქართველოში არანაირი თუნდაც სახელმწიფო მნიშვნელობის იდეაც კი არ განხორციელდება, თუ მის ინიციატორს (ავტორს) **არ ჰყავს გავლენიანი მფარველი.** ამის ნათელი დასტურია ზემოთ მოყვანილი გამოგონება, რომელიც არ აინტერესებს ვაზის სამშობლოს. **დავუშვათ ერთი წუთით,** რომ იგი ბურუსითაა მოცული და მისი პოპულარიზაციისათვის 60-70 ან თუნდაც 100 ათასი ლარის გაღებაზე სახელმწიფო 25 წელია, თავს იკავებს, რადგან ეკონომიურად ხარჯავს ბიუჯეტს (!). ჩემი იდეა, რომელიც უკანასკნელი წლების მანძილზე გავაჟღერე, რომ გმირთა მოედანზე გაურკვეველი შინაარსის **(სურათზე ნაჩვენები) სვეტის ადგილზე აღიმართოს ალმაშენებლის საკადრისი მემორიალი და დაედგას ოქროს გვირგვინი, ესეც ბურუსითაა მოცული? მით უმეტეს, გამოქვეყნებისთანავე ყველა კუთხიდან მივიღე უამრავი თანხმობა არა მარტო მის მოწონებაზე, არამედ თანხების გაღების სურვილის გამოთქმაზეც, რამაც მემორიალის დადგმის ღირებულების თანხას გადააჭარბა.** პირადად ვწირავ 10 ტონა ყურძნის ღირებულების თანხას.





მკითხველო, თქვენ განსაჯეთ, თბილისისთვის **სურათზე ნაჩვენები უაზრო სვეტი იქნება** კარგი თუ მის ნაცვლად რომ იდგეს ალმაშენებლის ძეგლი ოქროს გვირგვინით, რომელიც ყოველდღიურად შეგვახსენებს მის საყოველთაოდ ცნობილ, გმირულ მოღვაწეობას, მით უმეტეს სახელმწიფოსი ლარიც არ იხარჯებოდეს და მისი მხოლოდ კეთილი ნება სჭირდებოდეს, მით უფრო, რომ მილიონებსაც მოუტანს ქვეყანას, რადგანაც განვითარებულ ქვეყნებში მოწყობილ მემორიალებს, პატრიოტული დანიშნულების გარდა, მილიონობით ტურისტის ხილვის დატვირთვაც აქვს. უმორჩილესად გთხოვთ, გამოთქვით თქვენი აზრი ამ საკითხზეც.

ასევე მიუღებელი აღმოჩნდა ზოოპარკის ან თუნდაც სხვა ადგილას მოგვეწყო ეროვნული ისტორიის პანორამა ჩვენი სახელოვანი გმირული წარსულისა და დიადი ტრადიციების გაცოცხლებით. კონკრეტული მაგალითები გაჟღერებულია პრესაში.

უკანასკნელი 10 წელია, ასევე უშედეგოდ მთავრდება **სოფლად სიღარიბისა და უმუშევრობის დამარცხების** ჩემეული ხედვა, რომ სახელმწიფომ გაატაროს პროტექციონისტული პოლიტიკა და სოფლის მეურნეობის ფორსირებულად აღორძინებისთვის გლეხებზე გაიცეს იაფი სესხი, სესხის ნატურით დაფარვის გადასახადით, თუნდაც მრავალშვილიანებზე, სოციალურად დაუცველებზე და მაღალმთიან მოსახლეობაზე. მაგალითად, გლეხი, რომელიც აწარმოებს ისეთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, რომელსაც უხვად მოიხმარს ჯარი ან სხვა სახელმწიფოს ხარჯზე მყოფი სტრუქტურა, მათთვის პროდუქციის მიწოდება განხორციელდეს კომლური ოჯახებიდან, რომლებსაც აღებული სესხი დაექვითებათ ეტაპობრივად პროდუქციის მიწოდებისთანავე. აი, ასე დამარცხდება სოფლად სიღარიბე და უმუშევრობა, გაივსება დაცლილი სოფლები მოსახლეობით და თბილისი კი გათავისუფლდება საცობებისაგან.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უმორჩილესად გთხოვთ, გამოხატოთ თქვენი აზრი, დაინტერესების შემთხვევაში კი უფრო ნათლად და კონკრეტულად წარმოგიდგენთ სოფლად სიღარიბისა და უმუშევრობის დამარცხების პროგრამას. ალმაშენებლის ბანკის ან ფონდის შექმნით, რომლის მთავარი წყაროდ იქცეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გადახდილი ჯარიმების 100-პროცენტიანი ფინანსები და მინისტრების პრემიები, რომელიც უხვად რიგდება უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში.

**თამაზ ქვლივიძე**
**მობ. ტელეფონი: 599 10 43 18**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
**ქალბატონი ქეთათო**

**მკურნალობა**

● დაქვეითებული სმენის – ნევრიტის, ოტიტის, ოსტეოქონდროზის, კიდურების, კუნთების, სახსრების დაავადებების, რადიკულიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, მასტიტის, საკვერცხეების ანთების, წითელი ქარის განკურნება უნიკალური ენერგეტიკული მეთოდით, ასაკის მიუხედავად. ეს ნამდვილია პრაქტიკულად გამოცდილი. მის.: ალმაშენებლის 93. ტელ: 599-97-85-46 ლევანი - სერტიფიცირებული სახალხო მკურნალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

**განცხადებები**

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# ასტროპროგნოზი

## 8 იანვრისთვის



**ვერძი** – სახიფათო და კრიტიკული დღეა. უსიამოვნო ინფორმაცია თქვენი გეგმების შეცვლის მიზეზი გახდება. ერიდეთ მკვეთრ გამოთქმებსა და კონფლიქტურ სიტუაციებს. **კურო** – ხალხმრავლობა, სტუმრიანობა კონფლიქტურ სიტუაციას შექმნის. ნუ ჩაერთვებით საქმის გარჩევებში. კეთილისმყოფელი დღეა სამოგზაუროდ წასასვლელად. **ტყუპები** – ყურადღება გამოიჩინეთ ახლობლებისა და მეგობრებისადმი. არ არის გამორიცხული კონფლიქტი, რომელიც უსიამოვნო შედეგით დასრულდება. **კირჩხიბი** – კარგი პერიოდია გართობისათვის, ასევე მოგზაურობისა და მივლინებისათვის. სავარაუდოდ, სიტუაცია დაიძაბება და უსიამოვნო საუბარს ვერ ასცდებით. **ლომი** – ნუ აჩქარდებით. საქმის ერთი ხელის მოსმით მოგვარება რეკომენდებული არ არის. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. დიდია ტრავმის მიღების ალბათობა. **ქალწული** – გელით მრავალი მოულოდნელობა, როგორც სასიხარულო, ისე – უსიამოვნო. ნურაფრის შეგეშინდებათ, ნებისმიერ დაბრკოლებას სწრაფად და იოლად გადალახავთ. **სასწორი** – მძიმე დღეა. იმედი გიცრუვდებათ. ახლობელი საკმაოდ კარგ რჩევას მოგცემთ. თანამოაზრეებთან ერთად ბიზნესში წარმატებას მიაღწევთ. **ღრიანკალი** – წარსულის მოგონება, დიდი ხნის უნახავ მეგობართან შეხვედრა სიხარულს მოგანიჭებთ. შესაძლოა, კომპრომისზე წასვლა მოგიხდეთ. **მშვილდოსანი** – იკვებეთ სწორად, ივარჯიშეთ. სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია. გაგიმახვილდებათ ინტუიცია. **თხის რქა** – სახიფათო და კრიტიკული დღეა. უსიამოვნო ინფორმაცია თქვენი გეგმების შეცვლის მიზეზი გახდება. ერიდეთ მკვეთრ გამოთქმებსა და კონფლიქტურ სიტუაციებს. **მერწყული** – საშინაო საქმეები დაგიგროვდათ. დიდი ყურადღება მიაქციეთ ოჯახის ბიუჯეტს, გააკონტროლეთ გასავალი, ვინაიდან გაუთვალისწინებელი ხარჯები გელით. **თევზები** – მოულოდნელად ფულს შოულობთ. შესაძლოა დიდი ხნის ოცნება აგისრულდეთ. ამ დღეს გაცნობილი ადამიანი თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. კლიენტთათვის ღვინის შემრჩევი მაღალი კლასის რესტორნებში; 2. გურულების, აჭარლებისა და მესხების ძველებური ტანსაცმელი; 3. უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისათვის; 4. ჟორჟ ბიზეს ოპერა; 5. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 7. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 11. იძულების, ზემოქმედების ზომა კანონის დარღვევისათვის; 13. ევრაზიის კონტინენტზე მდებარე სახელმწიფო; 15. ხილი, ნიუ იორკის სიმბოლო; 16. მძლეოსნური სატყორცნი იარაღი; 18. რაიმეს განვითარების, რაიმე პროცესის ცალკეული მომენტი, სტადია; 19. სახელმწიფო ევროპაში.

**თარაზულად**: 6. მოწონების, აღტაცების კოლექტიური გამოხატვა მქუხარე ხანგრძლივი ტაშით; 8. ესპანელი საოპერო მომღერალი ქალი; 9. გარემოში საორიენტაციო ხელსაწყო; 10. ციმბირში გავრცელებული წიწვოვანი ხე, რომელიც არ ლპება; 12. ღვინის სასმისი; 14. გრძელბეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 17. ხილის წვენების პიურესგან დამზადებული საკონდიტრო ნაწარმი; 20. პოლიციელის ჩინი ძველად გერმანიაში; 21. აეროპორტი კაიროში; 22. სადაზღვევო მოწმობა; 23. სერბი ჩოგბურთელი მამაკაცი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. აკაპელა; 2. ფილტრი; 3. იოსელიანი; 4. ბუშელი; 5. თეთნულდი; 7. ოქრო; 11. ტორპედო; 13. რავიოლი; 15. დუბაი; 16. თოიძე; 18. რუმბი; 19. სენტო.

**თარაზულად:** 6. „კაჰორი"; 8. სისტოლა; 9. ქაშვეთი; 10. ესკორტი; 12. „გირჩი"; 14. ჟიგოლო; 17. „ნოვარტისი"; 20. გრეგორი; 21. შალახო; 22. „ბენტლი"; 23. აერობუსი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ხოტი; 2. ფურკა; 3. იანძი; 4. ფლავი; 5. ესთეტი; 6. გოზინაყი; 8. დეგრადაცია; 10. კლეპტომანი; 11. ვაშლოვანი; 14. „გრემიო"; 15. ბურახი; 16. „ელესა".

**თარაზულად:** 1. ხარფუხი; 4. ფლემინგი; 7. „ტატრა"; 9. ცირკი; 12. ჩიტაია; 13. აგუნა; 14. გრანდი; 17. ცაცხვი; 18. პლანიმეტრია; 19. ჰაუბიცა; 20. კაკაჩი.

# ნოე რამიშვილი საქართველოში სიმბოლურად დაბრუნდა

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი საქართველოში სიმბოლურად დაბრუნდა.

ნოე რამიშვილის შთამომავლები საქართველოს ეწვივნენ. მისმა შვილიშვილმა მიშელ რამიშვილმა საქართველოში ბაბუის პასპორტი ჩამოიტანა. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის საკონტროლო გამშვებ-პუნქტში ნოე რამიშვილის პასპორტზე სიმბოლურად ქვეყანაში შემოსვლის შტამპი დაფიქსირდა.

როგორც მიშელ რამიშვილმა განაცხადა, ნოე რამიშვილის ოჯახისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1925 წელს გამოცემული ფრანგული პასპორტის ფურცელზე დამოუკიდებელი საქართველოს შტამპის არსებობა.

— ეს ჩემი დიდი ბაბუას ერთგვარი დაბრუნებაა საქართველოში, — განაცხადა მიშელ რამიშვილმა.

# ფილიპ ბრიდლავი: „ამერიკული კონტინგენტი ევროპაში უნდა გაძლიერდეს!“



რუსეთის აგრესიული პოლიტიკა დასავლეთში მზარდ შეშფოთებას იწვევს. სულ უფრო იზრდება მათი რიცხვი, ვინც პრეზიდენტ ობამასაგან გადამჭრელ მოქმედებას მოითხოვს. მათ ევროპაში ნატოს გაერთიანებული ჯარების სარდალი, გენერალი ფილიპ ბრიდლავიც განეკუთვნება.

— აუცილებელია ევროპაში დისლოცირებული ამერიკული სამხედრო კონტინგენტის გაძლიერება! ჩვენ მზად უნდა ვიყოთ იმ მომენტისათვის, როცა ნატოს წევრ ერთ-ერთ სახელმწიფოზე თავდასხმა მოხდება!

ბრიდლავმა არ დააკონკრეტა, თუ ნატოს წევრ რომელ ქვეყანაზეა მოსალოდნელი თავდასხმა. სამაგიეროდ, დაწვრილებით ისაუბრა იმპერიულ-რევანშისტული ტენდეციების აღორძინებაზე, რაც დღეს რუსეთში ხდება:

— რუსეთი კვლავ დაუბრუნდა ეპოქას, როცა თავისი მიზნების მიღწევას ძალის მეშვეობით ცდილობდა!

გენერალმა ხაზი გაუსვა იმას, რომ პუტინის უშუალო ბრძანებით რუსეთის შეიარაღებული ძალების მოდერნიზაცია მოხდა. მან სირიასა და უკრაინაში რუსული შეიარაღებული ძალების მოქმედების ამომწურავი ანალიზი გააკეთა. ბრიდლავმა განაცხადა, რომ რუსეთში „ჰიბრიდული ომის“ ტაქტიკა მართლაც სრულყოფილად დაამუშავეს. ჰიბრიდული ომი არატრადიციული მეთოდებით საომარი მოქმედებების წარმოებაა, როცა ფართოდ გამოიყენება როგორც დივერსიები და ტერორი, ასევე საინფორმაციო ომი, ყალბი ხმების გავრცელება, მასობრივი არეულობები და ა.შ.

— ეს ყველაზე კარგად ყირიმში გამოჩნდა, — თქვა გენერალმა.

ბრიდლავმა აღნიშნა, რომ ყირიმში რუსების ტაქტიკამ გაამართლა. პუტინმა არა მხოლოდ უკრაინის მაშინდელი ხელმძღვანელობის, არამედ დასავლეთის დაშინებაც მოახერხა, აქაოდა, ატომური იარაღი მაქვს და, თუ ჭკვიანად არ იქნებით, გამოვიყენებო. ნახევარკუნძულის ანექსიაც მოსკოვმა უომრად მოახერხა. ამან კრემლს ფრთები შეასხა. დაიწყო პროექტ „ნოვოროსიის“ განხორციელება ანუ უკრაინისაგან მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი რეგიონების მოწყვეტა.

— აქ გადამწყვეტი სიტყვა მისმა უდიდებულესობა უკრაინელმა ხალხმა თქვა. მან იარაღს მოჰკიდა ხელი და სამშობლოს დასაცავად აღდგა, — თქვა გენერალმა.

შედეგად „ნოვოროსია“ ჩაიშალა. ახლა საუბარია დონბასის ნაწილისათვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებაზე. ბრიდლავმა თქვა, რომ ევროპაში არიან ძალები, რომლებიც ამას მხარს უჭერენ, აქაოდა, ეს მშვიდობის შენარჩუნების ერთად-ერთი საშუალებააო.

— მათ რიცხვს განეკუთვნებიან არა მხოლოდ ულტრა-მემარჯვენეები ან ულტრა-მემარცხენენი! არსებობენ „პრაგმატიკოსები,“ რომლებიც ამტკიცებენ, რომ მთავარი საფრთხე არა რუსეთიდან, არამედ ახლო აღმოსავლეთიდან ან აფრიკიდან მოდის. უკრაინაც ჩვენი პრობლემა არააო, — ამბობს გენერალი.

ბრიდლავმა ასეთი მიდგომა მკაცრად გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ ეს, არც მეტი, არც ნაკლები, აგრესორის „დაშოშმინების“ მცდელობაა. მეორე მსოფლიო ომის წინ დასავლეთის გარკვეული წრეები ჰიტლერის დაშოშმინებას ცდილობდნენ. შედეგად მივიღეთ მიუნხენი, რასაც მოჰყვა ჩეხოსლოვაკიის რუკიდან გაქრობა, ერთი წლის შემდეგ კი მეორე მსოფლიო ომი გაჩაღდა. გენერალმა განაცხადა, რომ რუსეთის მიმართაც დაახლოებით იგივე მეორდება. დასავლეთი რატომღაც უკანასკნელ მომენტამდე სირაქლემას პოზიციას ინარჩუნებს და ცდილობს, რუსეთი პარტნიორად გაიხადოს. ეს ძალზე სახიფათო ილუზიაა. დღეს რუსეთში უმძიმესი ეკონომიკური ვითარებაა. გამორიცხული არ არის, მივიღოთ არაპროგნოზირებადი რუსეთი, რომელიც დაარტყამს თურქეთს, შეეცდება ბალტიისპირეთის ოკუპაციას და ა.შ.

— არ ვამტკიცებ, რომ აუცილებლად ასე მოხდება, მაგრამ ამ სცენარისათვისაც მზად უნდა ვიყოთ! — თქვა გენერალმა.

აშშ დემოკრატიული სამყაროს ლიდერია. რუსეთის განეიტრალებაც კაცობრიობის წინაშე მისი მისიაა. ამ პოლიტიკის გატარება აშშ-ის ახალ პრეზიდენტს მოუწევს.

# ვინ გაამწარა რობერტ სტურუა?

დასაწყისი მე-12 გვერდზე

დიქტატორის მმართველობის დროს და ვიცი, რა საშინელ დღეში ჩააგდო თავისი სამშობლო და თავისი ხალხი.

რასაკვირველია, ის პოლიტიკოსები საკუთარი ხელით რომ გაუსწორდნენ იმ მურთხდიქტატორს, ბუნებრივია, მსოფლიოს თვალში სრულიადაც არ გამოიყურებოდნენ ეროვნულ გმირებად, მაგრამ პოლიტიკოსების ერთმანეთის ჟლეტა ხალხსაც ხომ ნორმალურ აქტად მიაჩნია: „ნეტ ჩელავეკა, ნეტ პრაბლემი“, — ამბობს ცნობილი ქართველი.

თვალწინ მიდგას კადრები, გაბადრული სახეები, სახალხო ზეიმი, სიხარული, რომელსაც განიცდიდა რუმინეთი „ბელადის“ სასჯელის დღეს... რა შავი ჭირი უნდა მოიშორო თავიდან, რა მძიმე განსაცდელს უნდა მოეღოს ბოლო, რომ მთელი ერი ადამიანის სიკვდილს სიხარულით ხვდებოდეს!

არა, ზოგჯერ მეჩვენება, ჩვენ, ქართველებს, როგორც საბა ორბელიანის ბაყაყებს, მეფედ ან უძრავ კუნძს გვიგზავნის ღმერთი, ან წეროს!

●●●

არ მინდოდა დამეწერა, მაგრამ სიმწარემ ასე იცის, გასაჭირში მყოფს, არც ერთმა ვაჟკაცმა, ბრჭყალებში, კოლეგამ არ დამირეკა. ისე, უბრალოდ მაინც! ეტყობა, მოერიდათ, ნუთუ კარიერაზე ფიქრობდნენ... კი მაგრამ, დღეს, პეტიციები??? მიკვირს... ძალიან...

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# მანეთი ვარდნას განაგრძობს, ნავთობზე კი ფასები ეცემა

რუსული მანეთი ვარდნას განაგრძობს. თანახმად რტრ-ის ცნობისა, დოლართან მიმართებით მანეთის კურსი უკვე 75-მდე დაეცა. რუსი ექსპერტები ამას ნავთობზე ფასების დაცემით ხსნიან.

— ამერიკელები ნავთობზე ფასს სპეციალურად აგდებენ, — აცხადებს რუსი ექსპერტი სერგეი მარკოვი.

7 იანვარს ფასები ნავთობზე უკვე 25 დოლარზე დაბლა დაეცა. რუსული ეკონომიკის სავალალო მდგომარეობა დონბასელ სეპარატისტებს ძალზე აშფოთებთ. მათმა საიტმა „რუსსკაია ვესნამ“ პუტინს რადიკალური ნაბიჯებისაკენ მოუწოდა:

— წარსულში ჩვენი მეფეები ასეთ სიტუაციაში ომს იწყებდნენ! დადგა დრო, რათა დასავლეთმა რუსული რაკეტები იგემოს.

# ჩრდილოეთ კორეას უკვე წყალბადის ბომბი აქვს



ჩრდილოეთი კორეის ხელისუფლებამ ოფიციალურად განაცხადა, რომ წყალბადის ბომბის გამოცდამ წარმატებით ჩაიარა. „ჩვენ წყალბადის ბომბი გვაქვს“ — ეს ინფორმაცია ჩრდილოეთი კორეის ტელევიზიით გადაიცა.

თავდაპირველად ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა ეს ეჭვქვეშ დააყენა. 7 იანვარს აშშ-ის დაზვერვის წარმომადგენლებმა წყალბადის ბომბის გამოცდის ფაქტი დაადასტურეს. იმავე დღეს ჩინურმა მხარემაც განაცხადა, ჩრდილო კორეას წყალბადის ბომბი აქვსო.

— ჩვენ ფხენიანის ამ ნაბიჯს ვგმობთ! — ასეთია თეთრი სახლის განცხადება.

ჩრდილოეთი კორეის მიერ წყალბადის ბომბის დამზადება ნატოს გენერალურმა მდივანმაც დაგმო, იაპონიის პრემიერმა აბემ კი განაცხადა:

— ჩრდილოეთი კორეის მიერ წყალბადის ბომბის დამზადება წარმოადგენს გამოწვევას დემოკრატიული სამყაროსადმი და ამას პასუხი აუცილებლად უნდა გაეცეს!

# გიორგი ღონღაძის მკვლელისადმი გამოტანილი განაჩენი ძალაში დატოვეს

კიევის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა გენერალ პუკაჩისადმი გამოტანილი განაჩენი. პუკაჩი თავისი დროზე მხილებულ იქნა, როგორც ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელი. გამოძიებით დადგინდა, რომ გენერალს ღონღაძეზე თვალთვალი პირადად უკრაინის მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა კრავჩენკომ დაავალა. პუკაჩი ბრძანებას კეთილსინდისიერად ასრულებდა, შემდეგ ასევე კრავჩენკოს ბრძანებით ღონღაძის ლიკვიდაცია განახორციელა.

სასამართლომ გენერალ პუკაჩს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. რაც შეეხება კრავჩენკოს, მან თავი მოიკლა, ამიტომ მისი გასამართლება ვერ მოხერხდა. უკრაინელი ექსპერტები დარწმუნებულნი არიან, რომ კრავჩენკოც, თავის მხრივ, მხოლოდ შემსრულებელია და ვიღაცის დაკვეთა შეასრულა. ვისი? ეს დღემდე უცნობია.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# სამგლოვიარო განცხადებები

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მთავრობა, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველო, ჰელსინკის კავშირი — წმინდა ილია მართლის საზოგადოება“ თანაგრძნობას უცხადებს ჰელსინკის კავშირის წევრს როლანდ ნაცვლიშვილს შვილის

**როსტომ როლანდის ძე ნაცვლიშვილის**

გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი: პარასკევს, 8 იანვარს;

დაკრძალვა: შაბათს, 9 იანვარს, 14 საათზე;

მისამართი: ხევსურეთის ქუჩა №10 (ნაძალადევის მეტროსთან).

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა
## 8 იანვარი, პარასკევი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 12.30 ქართ. მხ/ფ "**შეხვედრა მთაში**" 13.45 მხ/ფ "**ნათურებიანი მხედარი**" (რ.რედფორდი) 16.30 დოკ/ფ "ჯეიმი ოლივერი საშობაო სუფრა" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 18.05 დოკ/ფ "საშობაო ნათურების შემოსევა-ევროპა" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 მხ/ფ "**გამბიტი**" (შ.მაკლეინი) 22.30 კონცერტი: "შვიდკაცა" — 15 წელი სცენაზე 00.30 მხ/ფ "**გულები**" 02.30 მხ/ფ "**ამერიკული ქორწილი**"

08.00, 15.00, 17.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 მხ/ფ "**მშობლები**" (ს.მარტინი) 11.00, 14.00, 16.00, 19.00, 22.00 ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" 12.00 "ჯადოსნური ღამე" საბავშვო სპექტაკლი 13.35 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" — "თურქეთი" კაბადოკიის დაკარგული მიწები" 17.30 მხ/ფ "**ჩვენი სახლი**" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.00 რიშარ გალიანო 23.00 ნამდვილი დრო" 23.30 მხ/ფ "**თვალსა და ხელს შუა**" (ჯ.კლუნი)

06.00, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30 მხ/ფ "**ჯორჯი და გველეშაპი**" 09.00 კულინარიული დუელი 10.00 სერ. "**ოცი წუთი**" 8 სერ. 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.50 ქრონიკა 11.20 სერ. "**რჩეული**" 12.20 ქ.მხ/ფ "**არაჩვეულებრივი გამოფენა**" 17.35 სერ. "**დაკარგული წლები**" 18.45, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00, 23.00 სერ. "შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ - 4" 3-4 სერ. 00.00 სერ. "**რანი**" 1" 2 სერ. 02.00 მხ/ფ "**ეჭვქვეშ**" (ჯ.ჰეკმენი) 04.00 ერთხელ საქართველოში 04.55 მხ/ფ "**მოცეკვავე ნინძა**" (დ.ჰესელჰოფი)

08.00 ან/ფ "CLOUDY WITH A CHANCE OF MEATBALLS" 10.00 სერ. "**დინასტია**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 მხ/ფ. "ASTERIX ET OBELIX: MISSION CLEOPATRE" 15.40 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.55 სერ. "**შენ,მხოლოდ შენ**" 19.55 სერ. "**აღთქმა**" 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 36 (სეზ.8) 22.30 კონცერტი "მემანიშვილი - კინომუსიკა" 01.00 მხ/ფ."**ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან**" 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფ. "DEUCE BIGALOW: EUROPEAN GIGOLO" მხ/ფ. "FUN WITH DICK AND JANE"

8.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები (გამეორება) . 9.00, 15.00 ან/სერ. "ავატარი". 9.30, 19.30 სერ. "**გრეის ანატომია**". 10.30 საახალწლო დოკ/ფ. 11.30 მხ/ფ "**ჰარი პოტერი და სიკვდილის საჩუქრები - მეორე ნაწილი**". 14.00 მსოფლიოს ფესტივალები. 14.30, 18.30 სერ. "**ცენტრი**". 16.00 მხ/ფ "**102 დალმატინელი**". 18.00 სერ. "**ახალი გოგო**". 19.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები. 20.30 მხ/ფ "**ახალი წლის წინა ღამე**". 22.30 მხ/ფ "**წვეულება ვეგასში 1**". 0.20 MTV-ის მუსიკალური ვიდეოების დაჯილდოება 2014. 2.10, 4.00, 5.45, 7.30 URBAN STORIES. 3.00, 4.45, 6.30 ჯიდიპედია.

06.10 მუს.პაუზა 06.15 კვირიაკე 07.20 ალილო საშობაო "მართვე, ერქვანი, ანზორ ერქომაიშვილი..." 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 მხ/ფ "**აურზაური სალხინეთში**" 12.10 პორტრეტები 13.15 ბავშვები მუზეუმში 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "მონსტერა დელიციონი" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.30 მსოფლიო ხალხთა ზღაპრები "რატომ არ აქვს მთვარეს კაბა" 15.40 მოკ. მხ/ფ "**სამოთხის გვრიტები**" 16.10 კონცერტი ა. ბოჩელი "საშობაო" 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ქართული ხმებიფაეტონი 20.00 თაობა ზეტი 20.40 ძილი ნებისა "ტომი და ჯერი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები "რეზო თავართქილაძე, თამუნია წერეთელი" 22.25 მოგზაურობა სამშობლოში "ქვეყანა ჭერემისა" VI 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 თბილისის ტაძრები "ქაშვეთი" 00.35 კონცერტი 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 19.00, 0.00, 3.00 "კონტაქტი" 7.30 ან/ფ ოლივერ ტვისტი" (ჟესტ.) 8.30 "მუსიკალური საღამოები" 9.30 დოკ/სერ "ბარტ ვულფი" 10.00, 2.30 სერ. "**სხვისი სხეული**" 11.00 სერ. "**ქუზეი და გუნეი**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30 ან/ფ "ბუშტუკები" 13.00 დოკ/სერ "პროფესია მოგზაური" 13.30, 1.30 სერ. "**ტატიანა**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 "თეკუნას კულინარიუმი" 16.00 სერ. "**ჩვენ გვერდით**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 18.30 დოკ/სერ "მსოფლიოს საუკეთესო სახლები" 19.05, 3.30 სერ. "**ბერძენი ქალი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "**ყველაფერი ახლა იწყება**" 21.30, 4.30 მხ/ფ "**მოსკოვს ცრემლების არ სჯერა**" 0.30 "მუსიკალური საღამოები"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# კროსვორდი

**შვეულად**: 1. მუსიკალური ნაწარმოების ბოლო, დასკვნითი ნაწილი; 2. გულის დაავადებით გამოწვეული სულის ხუთვა; 3. ძვირფასმერქნიანი ტროპიკული ხე, რომლის თესლისგან იღებენ ზეთსა და ხის წებოს; 4. პოპულარული ბრიტანული იუმორისტული ჟურნალი; 5. ხელოვნურად გაშენებული ტყის მასივი; 6. ქართველი პოლიტიკოსი მამაკაცი; 8. გერმანიის იმპერიის ტახტის მემკვიდრის ტიტული; 10. მეტისმეტად ხალისიანი, სიცოცხლით სავსე ადამიანი; 11. მიწაში ბინადარი დიდი შხამიანი ობობა; 14. კანის ანთებითი დაავადება; 15. რაიმეს არასრულფასოვანი შემცვლელი, სუროგატი; 16. დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება.

**თარაზულად**: 1. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 4. ჩინეთში გამოყვანილი პატარა, დეკორატიული ჯიშის ძაღლი; 7. თოფის წამალი; 9. მაჯისცემა; 12. დაავადების გამომწვევი მიკრობი; 13. აკვიატებული შიში; 14. მოსანათლი ჭურჭელი ეკლესიაში; 17. მთიანეთი აზიაში; 18. მაჯისცემის გრაფიკული ჩანაწერი; 19. დაბალი ხარისხის მურა ქვანახშირი; 20. სამონასტრო კომპლექსი ახმეტის რაიონში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


8 იანვრისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.4175

ევრო — 2.5945

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5431

100 რუსული რუბლი — 3.2623

**ამინდის პროგნოზი 8 იანვრისთვის**






კალეიდოსკოპი

## ვესტ-პოინტში მაღალ თანამდებობაზე ქალი პირველად დაინიშნა



ქალმა სამხედრომ პირველად დაიკავა მაღალი თანამდებობა ვესტ-პოინტში ამერიკის აკადემიაში. ბრიგადის გენერალმა დიანა ჰოლანდმა ფიცი წარმოთქვა კადეტების კომენდანტის რანგში.

დიანა ჰოლანდი ერაყსა და ავღანეთში სამხედრო მოქმედებების ვეტერანია. წარმოთქმულ სიტყვაში მან ხელმძღვანელობას მადლობა გადაუხადა მისთვის მიცემული შესაძლებლობის გამო. ფიცის დადების ცერემონიაზე აკადემიის ხელმძღვანელმა, გენერალ-ლეიტენანტმა რობერტ კასლენმა მაღალ თანამდებობებზე და კურსანტების მომზადების საქმეში ქალების ჩართვაზე თანხმობა განაცხადა.

ბრიგადის გენერალი წარმოადგენს სამხედრო წოდებას პოლკოვნიკსა და გენერალ-მაიორს შორის. კადეტების კომენდანტი პარალელურად აკადემიაში ტაქტიკის კათედრას ხელმძღვანელობს და ის პასუხისმგებელია დისციპლინასა და კურსანტების სამხედრო მომზადებაზე.

ვესტ-პოინტის აკადემია უძველესი სამხედრო სასწავლებელია აშშ-ში და ყველაზე პრესტიჟულია ხუთ სამხედრო სასწავლებელს შორის. ის 1802 წელსაა დაარსებული, ხოლო ქალებს იქ მოღვაწეობის უფლება მხოლოდ 1976 წელს მიეცათ.

## ტოკიოში ყველაზე დიდი თევზი გაიყიდა

ტოკიოს ცუკიძის რაიონში თევზის ბაზრობაზე ბოლო საახალწლო ვაჭრობა გაიმართა. აუქციონზე გამოიტანეს ცისფერი სკუმბრია, რომლის წონამ 200 კილოგრამი შეადგინა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მასში 14 მილიონი იენი (დაახლოებით 117,2 ათასი დოლარი) გადაიხადეს.

ვაჭრობის მთავარი ლოტის მფლობელი გახდა რესტორნების ქსელ სუში-ზანმეის მფლობელი კიესი კიმურა, რომელიც საკუთარ თავს სკუმბრიის მეფეს უწოდებს.

— ეს შესანიშნავი თევზია, ბრწყინვალე, უმშვენიერესი, — განაცხადა კიმურამ, რომელიც ზედიზედ მეხუთე წელია, ვაჭრობაზე ახალი სეზონის გახსნაზე ყველაზე დიდ თევზს ყიდულობს.

ერთი სიტყვით, ერთი კილოგრამი თევზის ხორცი 600 დოლარად შეაფასეს. გასული წლის იანვარში კიმურამ 180-კილოგრამიან თევზში 37 ათასი დოლარი გადაიხადა. ასე რომ, ერთი კილოგრამი თევზის ფასი თითქმის გასამმაგდა.

რეკორდი 2013 წელს დამყარდა. მაშინ 222-კილოგრამიანი თევზი 155,4 მილიონ იენად (დაახლოებით 1,8 მილიონი დოლარი) გაიყიდა.



## ვინ გაამწარა რობერტ სტურუა?



რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორი რობერტ სტურუა გაოცებას ვერ მალავს ცნობილი ქართველი ინტელექტუალების მიერ პეტიციაზე ხელის მოწერის გამო. მათი ვაჟკაცობით გაკვირვებული მაესტრო ღია წერილს ავრცელებს, რომელსაც „ჰუმანისტები“ უწოდა.

**რობერტ სტურუა:**

— ყური მოვკარი, თითქოს ცნობილი ქართველი ინტელექტუალები რაღაც პეტიციას აწერენო ხელს. ძალიან გამიკვირდა, საიდან ასეთი ვაჟკაცობა?! ადრე, რაღაც არ შემიმჩნევია უსამართლოდ დატყვევებულის დასაცავად აქტიური კნავილიც კი. თუმცა, სად ეცალათ? ამბობენ, სან-ტროპეზის და მაიამის საკუთარ პლიაჟებზე ნებივრობდნენო.

მერე გამახსენდა, ვიღაცა ინტელექტუალმა დაწერა, რუმინელი დიქტატორი არ უნდა დაეხვრიტათ ასე არაადამიანურადო. მე ვყოფილვარ იმ

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## ვლადიმერ ხინჩეგაშვილი წლის საუკეთესო სპორტსმენი



სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ 2015 წელი შეაჯამა და გასული წლის საუკეთესოები გამოავლინა. ოლიმპიური კომიტეტის მსგავსად, სპორტის სამინისტროს ვერსიითაც, წლის საუკეთესო სპორტსმენი თავისუფალი სტილით მოჭიდავე ვლადიმერ ხინჩეგაშვილი გახდა. წლის საუკეთესო სპორტსმენი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა დააჯილდოვა.

ნომინაციაში ხინჩეგაშვილის კონკურენტები ძიუდოისტი ადამ ოქრუაშვილი და ძალოსანი ლაშა ტალახაძე იყვნენ.

შეგახსენებთ, რომ ხინჩეგაშვილმა ლას ვეგასში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოიპოვა და ჭიდაობაში 10-წლიანი პაუზის შემდეგ ქართველი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ადამ ოქრუაშვილმა ძიუდოს ევროპის ჩემპიონატზე და პირველ ევროპულ თამაშებზე ოქროს მედლები აიღო, ხოლო მსოფლიოს პირველობაზე ბრინჯაო მოიპოვა, ასევე ორი ვერცხლი მიიღო გუნდურ პირველობაში ევროპის ჩემპიონატსა და ევროპულ თამაშებზე. ძალოსანი ლაშა ტალახაძე კი ჰიუსტონში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## მესი-ნეიმარი-სუარესი მონსტრი სამეული



ისინი ერთად ჯერ მხოლოდ 14 თვეა, გვერდიგვერდ თამაშობენ, მაგრამ საფეხბურთო მსოფლიომ ნელ-ნელა დაიწყო იმის მტკიცება, რომ ბარსელონის შემტევი სამეული, სავარაუდოდ, ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო შემტევი ტრიოა.

საუბარია არგენტინელ ლეო მესიზე, ბრაზილიელ ნეიმარსა და ურუგვაელ ლუის სუარესზე. თითქმის მთელი სამხრეთი ამერიკაა ერთ გუნდში თავმოყრილი.

ესპანეთის ნაკრების ყველა დროის ბომბარდირმა და ბარსას ყოფილმა ფეხბურთელმა დავიდ ვილიამ ტრიოს უკვე უწოდა ბარსელონის

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## „ჩემი ცოლის დაქალები“ ისევ სკანდალში გაეხვია




ფორმულა კრეატივის გახმაურებული სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“ ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად ეხვევა სკანდალებში. ამ მხრივ მერვე და მისი წინა სერიები ნამდვილი რეკორდსმენია.

რამდენიმე სერიის წინ სერიალში ბავშვთა ძალადობის თემაზე იყო სცენა წარმოდგენილი, რამაც ასოციაციის „ბავშვი და ოჯახი“ აღშფოთება გამოიწვია. ასოციაციამ სპეციალური საჯარო განცხადებაც გაავრცელა და არსებულ სიტუაციას არარეალური უწოდა.

შემოქმედებით ჯგუფს ახლა უკვე დემოგრაფიული აღორძინების ფონდის ხელმძღვანელი თამარ ჩიბურდანიძე დაუპირისპირდა. მან სერიალის შემქმნელები ჩვენს ქვეყანაში დემოგრაფიული პრობლემების კიდევ უფრო დამძიმებაში დაადანაშაულა. თამარ ჩიბურდანიძემ სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე ქვეყანაში ქორწინებებისა და განქორწინებების სტატისტიკაზე ისაუბრა და ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობაც მიმოიხილა.

მისი აღშფოთების მიზეზი „ჩემი ცოლის დაქალების“ ბოლო სერიები გახდა, სადაც ორსულობის თემაა აქტუალური. ფეხმძიმე კატო ორსულების სილამაზის კონკურსში იღებს მონაწილეობას, სიუჟეტის მიხედვით კი კონკურსის ერთ-ერთი ორგანიზატორი საპატრიარქოს წარმომადგენელია.

**თამარ ჩიბურდანიძე:**

— სერიალში ორსულობის გაშარჟებამ, შესაძლოა, ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე ცუდად იმოქმედოს. მაშინ, როდესაც ქვეყანა დემოგრაფიული კატასტროფის ზღვარზეა და ერი შემცირებულია, უნდა გატარდეს ერთიანი დემოგრაფიული პოლიტიკა ქვეყანაში და მასში აქტიურად უნდა ჩაერთოს საზოგადოება და განსაკუთრებით — მედია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## იუმორი



რესტორანში კლიენტი ოფიციანტს მიმართავს:

— შეიძლება, რომ რაიმე აფრიკული დელიკატესი შევუკვეთო?

— წყალი?

●●●

ღმერთმა შექმნა სამყარო.

ყველაფერი დანარჩენი ჩინეთშია შექმნილი.

●●●

სომეხი მეზობელი მეორე მეზობელს ეკითხება:

— გამარჯობა, სუსანა დეიდა, არტურჩიკა სახლშია?

— კი, კარენჩიკ, სჭამს, შენც ხო არ გშია?

— კი.

— მიდი, მანამდე შენც სახლში ჭამე...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— იცოდი, რომ ჯერ კოვზი უნდა ამოიღო ჩაის ჭიქიდან და მერე უნდა დალიო ჩაი?

— რატომ?

— სიყვარულში წარუმატებლობა მოაქვს.

— ანუ მთელი ამ ხნის განმავლობაში ის ოხერი ჩაის კოვზი მიშლიდა ხელს?!

●●●

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეუბნება:

— ეს რა დრო დაგვიდგა!

— რა მოხდა?

— ერთი საათით თოვლის პაპის გამოძახება უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ფიფქიასი მთელი ღამით.

●●●

ბიჭი გოგოს ეკითხება:

— საჭმელების მომზადება იცი?

— აბა რა, ძალიან ლამაზად ვჭრი ძეხვს!

●●●

ექიმმა მამაკაცს რეცეპტი გამოუწერა და ეუბნება:

— ათი დღის განმავლობაში დალევა არ შეიძლება.

შემდეგ მამაკაცი კიდევ ერთხელ შეათვალიერა, რეცეპტი უკანვე გამოართვა და ეუბნება:

— კარგი, ახალი წლის შემდეგ შემოიარე.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

— რა გეშველებოდა უჩემოდ?

ქმარმა გულში გაიფიქრა: „როცა მომინდებოდა, მაშინ მექნებოდა სექსი, დავლევდი, მოვწევდი, ვისეირნებდი, საუნაში ვივლიდი, სანადიროდ, სათევზაოდ, კიდევ რამდენი რამეა...“ ხმამაღლა კი უპასუხა:

— ძვირფასო, ალბათ, მოწყენილობა მომკლავდა!

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

— ძვირფასო, რას მაჩუქებ დაბადების დღეზე?

— აი, იქ, ხედავ, შავი მერსედესი რომ დგას?

— დიახ!

— სწორედ მასეთი ფერის კოლგოტს!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა